საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 29 ივლისი, 2014 წელი.

№147 (7528)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

◎ ოი, სირცხვილო!

ჯოჯოხეთის მოციქულნი

საქართველოს პროკურატურის განცხადება მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილისა და გიგი უგულავას მიმართ ბრალის წარდგენასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაავრცელა.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილისა და გიგი უგულავას მიმართ ბრალის წარდგენასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაავრცელა.

როგორც პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, საქმე ეხება 2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია იმედში შეჭრას და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას. გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით. პროკურატურის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„დღეს, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გამოტანილი იქნა დადგენილება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. საქმე ეხება 2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრას და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას. მიხეილ სააკაშვილთან ერთად, ბრალდების შესახებ დადგენილებები იქნა გამოტანილი: შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ივანე მერაბიშვილის, ყოფილი გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის და თბილისის ყოფილი მერის გიორგი უგულავას მიმართ. გამოძიებით დადგინდა შემდეგი: ტელეკომპანია „იმედი“ ეთერში გასვლის დღიდან აქტიურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. 2006-2007 წლებში „ტელეიმედით“ გაშუქებული იქნა საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მტკივნეული და გახმაურებული საკითხები — სანდრო გირგვლიანის, ამირან რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილის, ზურაბ ჟვანიას — საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებასთან დაკავშირებული სიუჟეტები. ასევე, 2007 წლის სექტემბერში „ტელეიმედის“ ეთერით საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა გააჟღერა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ მისთვის მიცემული დავალება, რომელიც ეხებოდა ა.პატარკაციშვილის ლიკვიდაციას. „ტელეიმედის“ ეთერით გავრცელებულ ინფორმაციებზე მთავრობას სათანადო პასუხი არ ჰქონდა, ხსენებული კი ნეგატიურად მოქმედებდა იმდროინდელი მმართველი გუნდის რეიტინგზე, ამიტომ ხელისუფლების წარმომადგენლები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით აქტიურად აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს არკადი პატარკაციშვილთან, ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდების მიზნით. ხელისუფლება და მისი ხელმძღვანელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მზად იყო, ა.პატარკაციშვილის თანხმობის შემთხვევაში „ტელეიმედი“ გაეცვალა საქართველოს რკინიგზაში, რომელიც იმ პერიოდში წარმოადგენდა საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს აქტივს, რაზეც მიიღო უარი. არკადი პატარკაციშვილის მხრიდან „ტელეიმედის“ შენარჩუნებისათვის უფრო მეტი გარანტიის შექმნის მიზნით, ტელეკომპანია იმედი მართვის უფლებით გადაეცა — აშშ-ში რეგისტრირებულ მედიამაგნატს „NEWS CORP EUROPE INC“-ს. მიუხედავად აღნიშნულისა, კრიტიკული სიუჟეტები და ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან შესაძლო დანაშაულების ღია ეთერით გაშუქება გახდა იმის მიზეზი, რომ ხელისუფლების ყველა შტომ, მისი მეთაურის მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო არკადი პატარკაციშვილისა და მისი ოჯახის დევნა და შევიწროება.

იხ. 2 გვ.

ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას

ამ ქართველმა კაცმა მთელ პლანეტას შემოუარა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი მწუხარებას გამოთქვამს ბატონ

ჯუმბერ ლეჟავას

გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახის წევრებსა და მთელ საქართველოს.

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა იყო მსოფლიოში ცნობილი მოგზაური, „მსოფლიო მოქალაქე“. დაჯილდოებულია იუნესკოს „მსოფლიო სპორტსმენის დიპლომით“, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის დიპლომით და სხვა მრავალი საპატიო ჯილდოებით. ველოსიპედით დაიწყო მოგზაურობა, უწყვეტი სიარულით ცხრა წელზე მეტი იმოგზაურა, 50 000-ზე მეტი ფოტოკადრი გადაიღო. მისი ქმედება ვაჟკაცობის, მტკიცე სულიერების და უდრეკელი ენერგიის, თავისი სამშობლოს სიყვარულის გამოხატულებაა, რომლის დროშასაც თან ატარებდა. ნებისმიერი ქვეყნის ქალაქსა თუ სოფელში საქართველოს გაშლილი დროშით შედიოდა, მუდამ თან დაჰქონდა რუკა და ყველას აცნობდა საქართველოს ადგილმდებარეობას, მის გმირულ ისტორიასა და კულტურას. მან ზღაპარი რეალობად აქცია — წვიმაში, თოვლში, ყინვაში, გრიგალში, უდაბნოსა თუ ჯუნგლების გავლით, იგი მუდამ თავის მიზანს აღწევდა.

მან შეძლო დაემტკიცებინა ადამიანის უზომო შესაძლებლობანი. ამ ლეგენდარული პიროვნების სახელს მუდამ დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ მსოფლიოს ყველა კუთხეში.

ერთ დროს სკოლებში ასწავლიდნენ უცხოელ მოგზაურთა სახელებს. დღეს შესაძლებლობა არის და აუცილებელიც, ქართველ ბავშვებს ვასწავლოთ ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობის საამაყო ისტორია. მის შესახებ ჩვენმა მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს.

მერაბ ბერძენიშვილი

ცეცხლზე ნავთის ასხამთ, ბატონო ოთარ?!.

9

◎ ოი, სირცხვილო!

ჯოჯოხეთის მოციქულნი

(პირველი გვერდიდან)

2007 წლის ნოემბერში, საზოგადოებაში დაგროვილი მასობრივი უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ საპროტესტო აქციებში გადაიზარდა. 2007 წლის 4 ნოემბერს, მ.სააკაშვილის დავალებით, შსს-ს შენობაში, ივანე მერაბიშვილის კაბინეტში გაიმართა საგანგებო თათბირი, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავად მერაბიშვილი. თათბირს ესწრებოდნენ გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დათა ახალაია, თბილისის მერი გიგი უგულავა და გუბერნატორები. ივანე მერაბიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარე თათბირზე გადაწყდა, რომ უნდა შეედგინათ საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა სია, რომელთა მიმართ უნდა განხორციელებულიყო დაშინება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, ხალხის ცემა და სხვადასხვა გზებით, მათ შორის, ნარკოტიკების ჩადებით მათი დაპატიმრება. ოპოზიციის მხარდამჭერი ბიზნესმენებისთვის უნდა „მიეხედა“ ფინანსური პოლიციის ყოფილ უფროსს და იმჟამად თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს.

ი.მერაბიშვილმა თათბირის დროს წარმოთქვა შემდეგი შინაარსის ფრაზები: „გალახული კაცი საქართველოში არის ჩმორი და მაშინვე კარგავს გავლენას, ჯგუფები შექმენით, ცემეთ, თირკმელებში ურტყით, დაიჭირეთ, გადმოიბირეთ, ნარკოტიკები ჩაუდეთ, გარეთ ერთი ახალაია მიხედავს, შიგნით მეორე დახვდება“...

თათბირზე ივანე მერაბიშვილის მიერ გაცემული დავალება – ადამიანების დაშინების, ცემისა და დაპატიმრების შესახებ სისრულეში მოყვანილ იქნა 2007 წლის 7 ნოემბერს, როდესაც გაიცა ბრძანება აქციის დარბევის თაობაზე.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გაცემული დანაშაულებრივი ბრძანების საფუძველზე, რუსთაველის გამზირზე და რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცავების მხრიდან განხორციელდა მომიტინგეთა დარბევა, უკანონოდ გამოყენებული იქნა არალეტარული იარაღი (რეზინის ტყვიები), უმოწყალოდ სცემეს ასეულობით მოქალაქე, მათ შორის, სახალხო დამცველი, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრები, ჟურნალისტები. სპეცრაზმი ფიზიკურად გაუსწორდა შეშინებულ მომიტინგეებს, რომლებიც თავს აფარებდნენ მაღაზიებსა და აფთიაქებს. 2007 წლის 7 ნოემბერს, ქვეყნის მთავარსარდლის მიხეილ სააკაშვილის მიერ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, თბილისში, თავისუფლების მოედნიდან რესპუბლიკის მოედნის ჩათვლით ტერიტორიაზე, უკანონოდ გამოყვანილი იქნა თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, რომელიც ემსახურებოდა აღნიშნულ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებას, რომ არ მომხდარიყო მოქალაქეთა ხელახალი გამოსვლა და რაიმე სახის პროტესტის გამოხატვა.

ამავე დღეს, დასახული გეგმის შესაბამისად ტელეკომპანია „იმედის“ შენობაში ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სრულიად უკანონოდ, შეიჭრა შსს-ს სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომლებმაც დაამსხვრიეს საეთერო ჩართვის აპარატურა, გამორთეს ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობა, ხოლო „ტელეიმედის“ თანამშრომლები ცემით გამოაძევეს შენობიდან. ასევე, სპეციალური დანიშნულების რაზმი ტელევიზიის გარშემო პროტესტის გამოსახტად შეკრებილ ჟურნალისტებსა და მოქალაქეებსაც სასტიკად გაუსწორდა, გამოიყენეს რა მათ მიმართ რეზინის ტყვიები და ძალადობით აიძულეს დაეტოვებინათ ტერიტორია. ხსენებულის შემდეგ, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ტელეკომპანია ,,იმედი“-ს ტერიტორია ბლოკირებული ჰქონდათ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს. ტელეკომპანია იმედის დარბევის შედეგად ტექნიკური საშუალებების დაზიანების, დაკარგვის და მიუღებელი შემოსავლის სახით „იმედის“ ზარალმა შეადგინა 3 158 307 ლარი.

ამის შემდეგ, ქვეყნის მეთაურის მიხეილ სააკაშვილის დავალებით, უმაღლესი თანამდებობის პირებმა დაიწყეს პატარკაციშვილისთვის ტელეკომპანიის უკანონოდ ჩამორთმევის პროცესი. ტელეკომპანია „იმედის“„ შენობაში შეჭრის ვითომდა სამართლებრივი საფუძვლის შესაქმნელად „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ თავმჯდომარეზე, ივანე მერაბიშვილის და ზურაბ ადეიშვილის მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შედეგად, ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის უხეში დარღვევით „ტელეიმედს“ შეუჩერეს სამაუწყებლო ლიცენზია.

ამასთან „ტელეიმედში“ ძალისმიერი მეთოდით შეჭრისა და დაწესებულების უკანონოდ დაკავების სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად, ხელოვნურად შეიქმნა სისხლის სამართლის საქმის წარმოება, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში ეჭვმიტანილად იქნა ცნობილი არკადი

ვანო მერაბიშვილი: გალახული კაცი საქართველოში არის ჩმორი და მაშინვე კარგავს გავლენას, ჯგუფები შექმენით, ცემეთ, თირკმელებში ურტყით, დაიჭირეთ, გადმოიბირეთ, ნარკოტიკები ჩაუდეთ, გარეთ ერთი ახალაია მიხედავს, შიგნით მეორე დახვდება...

პატარკაციშვილი და მის ქონებას, კერძოდ შპს „ტელეიმედს“ დაედო ყადაღა, რითიც მესაკუთრესა და მფლობელს აეკრძალა შპს ,,ტელეიმედის“ ქონების (მათ შორის, მის მფლობელობაში არსებული კერძო საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის) განკარგვა და სარგებლობა. საზოგადოებას კი გენერალურმა პროკურატურამ წარუდგინა არკადი პატარკაციშვილსა და ერეკლე კოდუას შორის შემდგარი საუბრის ფალსიფიცირებული, კონტექსტიდან ამოჭრილი და შინაარსის შეცვლით დამონტაჟებული აუდიოჩანაწერი.

ხელისუფლებისა და მისი მეთაურის მიხეილ სააკაშვილის ქმედების მიმართ, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან უმკაცრესი რეაგირების მიუხედავად, მ.სააკაშვილის დავალებით და უმაღლესი თანამდებობის პირების, მათ შორის, გიგი უგულავას, დავით კეზერაშვილის და სხვათა უშუალო ჩარევით, საბოლოო ჯამში, ზეწოლისა და დაშინების გზით პატარკაციშვილების ოჯახს ჩამოართვეს ტელეკომპანია „იმედი“. ა.პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ერთ კვირაში, კერძოდ 2008 წლის 19 თებერვალს, ნოტარიუს მერი ბუბაშვილთან, ა.პატარკაციშვილის ნდობით აღჭურვილ პირს გიორგი ჯაოშვილს, მის სახელზე რიცხული ს/ს „ჯეიემ-ჯი კონსალტინგ გრუპი“-ის წილი, რომლის საკუთრებაშიც იყო „ტელეიმედი“, წესდების მოთხოვნათა დარღვევით, გადააფორმებინეს ბიზნესმენ ჯოზეფ კეიზე. აღნიშნულ მოქმედებას ადგილზე ხელმძღვანელობდნენ დავით კეზერაშვილის დავალებით მოქმედი სამხედრო პოლიციის წარმომადგენლები და ხელისუფლების სხვა თანამდებობის პირები. იმავე დღეს გიორგი ჯაოშვილი მიიყვანეს ფინანსური პოლიციის შენობაში და აიძულეს გადამდგარიყო შპს „ტელეიმედის“ დამფუძნებელი ფირმების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობიდან, რითაც ა.პატარკაციშვილის ოჯახი საბოლოოდ ჩამოაშორეს ტელევიზიას. მომდევნო დღეს, „ტელეიმედის“ წილი 5 წლის ვადით, სამართავად გადაეცა დავით კეზერაშვილთან დაახლოებული პირს პაატა სირაძეს. „NEWS CORP EUROPEITED INC“-ს ცალმხრივად შეუწყდა შპს ,,ტელე იმედის“ მართვის უფლება.

ამის შემდეგ უკვე დაიწყო ხელისუფლების მხრიდან ტელეკომპანიის გაკონტროლება, რაშიც მონაწილეობდნენ მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის, გიორგი უგულავა, რომელიც სრულად წარმართავდა და აკონტროლებდა არხის საინფორმაციო პოლიტიკას.

2012 წლის 18 ოქტომბერს, ოქტომბრის არჩევნებისა და ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, მაშინდელ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირებმა გიორგი არველაძემ, გიორგი კორახაშვილმა და გიორგი მიქელაძემ პატარკაციშვილების ოჯახს დაუბრუნეს ტელეკომპანია „იმედის“ 90%-იანი წილი.

მაშინდელი ხელისუფლებისა და მისი მეთაურის, მიხეილ სააკაშვილის მხრიდან პატარკაციშვილების ოჯახზე ზეწოლა არ შემოიფარგლა მხოლოდ ტელეიმედის უკანონოდ ხელში ჩაგდებით. ხელისუფლებამ პატარკაციშვილების ოჯახს ჩამოართვა მთაწმინდის პარკიც. კერძოდ, 2007 წლის 7 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე მომიტინგეთა დაშლის პარალელურად, შს მინისტრის დავალებით მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიჭრნენ შსს შეიარაღებული სპეცრაზმელები და ტერიტორიიდან უკანონოდ გამოაძევეს პარკის თანამშრომლები. იმავე დღეს, თბილისის მერიაში ჩატარდა პრეს-კონფერენცია, თითქოსდა, რომ შპს „ლინქსი“ არ იხდიდა მთაწმინდის პარკის იჯარის თანხას, რის გამოც თბილისის მთავრობამ შპს „ლინქსთან“ სრულიად უკანონოდ, ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება, მაშინ, როდესაც პატარკაციშვილის კუთვნილი კომპანია პირნათლად ასრულებდა ყველა აღებულ ვალდებულებას და არ არსებობდა არანაირი საფუძველი ხელშეკრულების შეწყვეტისთვის. ამასთან, პარლამენტის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ კანონში საგანგებოდ შეტანილი ცვლილების შედეგად, შპს „ლინქსის“ დირექტორის თანამდებობაზე დანიშნეს გიორგი უგულავას მეგობარი გიორგი კირცხაია, რომელმაც ფირმის წინააღმდეგ ჩადენილ სხვა საზიანო ქმედებებთან ერთად სასამართლოდან გამოითხოვა ქ.თბილისის მერიის მიმართ შეტანილი ყველა სასარჩელო მოთხოვნა.

მიხეილ სააკაშვილის და ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ზეწოლის კიდევ ერთი ფაქტია პატარკაციშვილების ოჯახისთვის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევა. სხვადასხვა გზით, ზეწოლისა და დაშინების შემდეგ, ფიქტიურად გაფორმებული ხელშეკრულებების და დოკუმენტების შედეგად, რომ თითქოს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მესაკუთრე კომპანიას ვალი ჰქონდა კეზერაშვილის გავლენის ქვეშ მყოფი ოფშორული კომპანიის მიმართ, აღსრულების ეროვნული ბიუროს და სასამართლოს ჩარევით, ვალის გაქვითვის საფუძვლით პატარკაციშვილების კუთვნილი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ქონება გადავიდა დავით კეზერაშვილის ოფშორული კომპანიის საკუთრებაში.

ხელისუფლების მხრიდან მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით არკადი პატარკაციშვილის ოჯახის მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებს, შედეგად მოჰყვა ის, რომ 2008 წელს ა.პატარკაციშვილის მეუღლემ ინა გუდავაძემ სარჩელით მიმართა საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიას და მოითხოვა საქართველოს სახელმწიფოს მიერ უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნება ან ქონების ეკვივალენტი 400 000 000 აშშ დოლარის ანაზღაურება. მას შემდეგ, რაც მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი მეთაური მიხეილ სააკაშვილი დარწმუნდნენ, რომ პატარკაციშვილების ოჯახის წინააღმდეგ ჩადენილი ყველა ამ უკანონობის გამო, აუცილებლად წააგებდნენ პროცესს საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში, მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, მაშინდელი ხელისუფლების სახელით მოქმედმა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თინა ბურჯალიანმა პატარკაციშვილების ოჯახთან გააფორმა მემორანდუმი, რის საფუძველზეც ოჯახს დაუბრუნდა ყველა ზემოხსნებული ქონება, გარდა ტელეიმედისა.

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლების და მისი მეთაურის მიხეილ სააკაშვილის უკანონო მოქმედებების შედეგად დაირღვა არკადი პატარკაციშვილის ოჯახის საკუთრების უფლება, ხელყოფილ იქნა მოქალაქეთა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, მრავალმა მოქალაქემ მიიღო სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება, მოხდა დამოუკიდებელი მედიის საქმიანობაში უკანონოდ ჩარევა და ხელის შეშლა, რამაც ფიზიკური და იურიდიული პირის, სახელმწიფოს და საზოგადოების კანონიერი უფლებების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილის და გიორგი უგულავას მიმართ გამოიტანილია ბრალდების შესახებ დადგენილებები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

ასევე, საზოგადოებას გვინდა, ვაცნობოთ, რომ გამოძიება დასკვნით ფაზაშია შესული პროკურატურის მიერ ადრე გაცხადებულ სხვა სისხლის სამართლის საქმეებზეც, რომლებზეც მიხეილ სააკაშვილი დაბარებული იყო მოწმის სახით, რომელთა შედეგების შესახებ საზოგადოებას ეცნობება უახლოეს მომავალში“.

„უდანაშაულო“ სააკაშვილი საქართველოში არ ჩამოდის. გაიძვერა ნაცები და მათი არამზადა ადვოკატები კვლავ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე ყბედობენ, კუბლაშვილის სასამართლოსგან დაჩაგრული, გაუბედურებული ხალხი კი სასწრაფოდ მოითხოვს სიმართლის აღდგენას!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐ: ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲕᲘᲚᲬᲧᲔᲑᲗ!..

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲝᲡᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ 2 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ.

ᲠᲐ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ, ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲒᲖᲐᲠᲘᲛᲝ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲢᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘ?

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲓᲐᲕᲘᲗ, 2 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲓᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠ�გᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲠᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲗ?

— ორი აგვისტო იქნება ჩემი პირველი სამუშაო დღე მერიის ადმინისტრაციულ შენობაში. რა თქმა უნდა, პირველი და უმთავრესი თბილისის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცებაა, რომელიც საკრებულოს პრეროგატივაა. აქედან გამომდინარე, საკრებულოს გადაეგზავნება შემადგენლობა, რომელსაც დავასახელებთ.

— თუ გაქვთ გადაწყვეტილი, ვის დანიშნავთ მოადგილეებად, გამგებლებად და სამსახურების ხელმძღვანელებად? არაერთი ადამიანის გვარი სახელდება, ამბობენ, რომ გიორგი სოლომონია, რომელიც თქვენი მოადგილე იყო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, მერის მოადგილე გახდება, ასევე საუბრობენ, რომ მოადგილის პოსტზე შეთავაზება თემურ ქურხულმა მიიღო, ვაკის გამგებლად კი გლდანის ყოფილი გამგებელი კახა ლაბუჩიძე ინიშნება...

— გიორგი სოლომონია დღესაც არის მინისტრის მოადგილე. სხვა კანდიდატებიც, რომლებიც სავარაუდოდ დასახელდა, ყველა მუშაობს და თავის საქმეს აკეთებს. მქონდა გარკვეული მონახაზები და შეთავაზებები, მაგრამ ეს ცოცხალი პროცესია და კონსულტაციები მიმდინარეობს. ამიტომაც, ჯერ არ ვასახელებ შემადგენლობას. ჩემი სურვილია, 2 აგვისტოს ერთიანად დავასახელო ქალაქის მთავრობა და წარვუდგინო საზოგადოებას. გარწმუნებთ, ისინი იქნებიან პროფესიონალები, პატრიოტები და ხალხთან ახლოს მდგომი ადამიანები.

რაც შეეხება თემურ ქურხულს, პირველად საინფორმაციო საშუალებებით გავიგე ეს ამბავი. თემურ ქურხულს ვიცნობ, რამდენიმე წლის წინათ ვთანამშრომლობდით კიდეც, როდესაც ის ქალაქის მმართველობაში იყო და მე „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში“ ვიყავი. რამდენიმე სასიკეთო გადაწყვეტილება შევთავაზეთ მაშინ მერიას და იქიდან ვიცნობ. მაგრამ ბოლო პერიოდში მასთან კომუნიკაცია არ მქონია.

ლაბუჩიძესთან დაკავშირებით კი, არ შემიძლია ეს ინფორმაცია დაგიდასტუროთ. თუმცა, წყარო საინტერესოა...

— სხვათაშორის, ამავე წყაროს ინფორმაციით, ერთ-ერთ გამგეობაში ამბობენ, რომ არსებობს გარკვეული სიები, თუ ვინ უნდა დაინიშნოს მათ ნაცვლად და ეს შეეხება არამარტო თანამდებობის პირებს, არამედ რიგით თანამშრომლებსაც. ასევე ამბობენ, რომ სიები „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებით არის დაკომპლექტებული?

— არანაირი სიები რაიონების გამგეობების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით არ არსებობს და ასეთი მიდგომა ჩვენ არ გვექნება. თუ ვინმეს რამე სია აქვს, მინდა ვთქვა, რომ ეს არის სიცრუე. ჯერ არავინ იცის, ვინ რომელი რაიონის გამგებელი იქნება. ეს მონახაზი ჯერ ძალიან ვიწრო ჯგუფში არსებობს და კონსულტაციები მიმდინარეობს.

— აპირებთ თუ არა, გააუქმოთ მერიის დაქვემდებარებაში მყოფი შპს-ების სამეთვალყურეო საბჭოები, რომელიც საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ შეიქმნა და ძირითადად ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. ისინი საკმაოდ მაღალ ანაზღაურებასაც იღებენ...

— სამეთვალყურეო საბჭოების საქმიანობას შევისწავლით. არცერთი არ არის ისეთი შპს, რომელსაც აუცილებლად სჭირდება სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა. მათი მეთვალყურე არის შესაბამისი საქალაქო სამსახური, კურატორი, მერის მოადგილე და საკუთრივ მერი. თუ შენარჩუნებული იქნება სამეთვალყურეო საბჭოები, შევიყვანთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც არ მოითხოვენ დამატებით შრომის ანაზღაურებას, მერიის სტრუქტურაში ისედაც მუშაობენ და თანამდებობრივად ეკუთვნით, იყვნენ კონკრეტული შპს-ების მეთვალყურეები.

— პრემიების თემაზეც გკითხავთ, შენარჩუნდება თუ არა და როგორი იქნება პრემიების გაცემის წესი დედაქალაქის მერიაში?

— პრემიების და შრომის ანაზღაურების ნაწილში ცვლილება აუცილებლად იქნება. ჩვენ ძალიან სწრაფად, აგვისტოს თვეშივე დავამტკიცებთ თბილისის მერიის სისტემისთვის შრომის ანაზღაურების და დანამატების გაცემის წესს. ვინაიდან საქართველოს მთავრობამ შეუმუშავა და უკვე დაამტკიცა ასეთი წესი, ჩვენ ამ რეკომენდაციას მივიღებთ და შევასრულებთ. მხოლოდ ისეთი ადამიანი მიიღებს პრემიას, ვისაც რაიმე განსაკუთრებული საქმე ექნება გაკეთებული. პრემიის მინიჭების საკითხს კი კომისია განსაზღვრავს. ასევე აუცილებელია, შევზღუდოთ მერიის სისტემაში ერთი და იმავე ადამიანების სხვადასხვა სამსახურში მუშაობა და ორი და სამი ხელფასის მიღება. ასეთი, სამწუხაროდ, საკმაოდ ბევრი ვნახეთ.

— თქვენი პროგრამის მიხედვით, თბილისს უნდა ჰქონდეს განვითარების გენერალური გეგმა, ამავე დროს, თქვენ მიშენებების დაკანონებას დაპირდით მოსახლეობას, რამდენად თავსებადია ეს ორი საკითხი ერთმანეთთან?

— ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა იქნება სივრცითი ტერიტორიის განვითარების გეგმა, თუ სად, რომელ უბანში, რა სიმაღლის, როგორი ფორმის შენობა შეიძლება აშენდეს, როგორი შეიძლება იყოს რეკრეაციული ზონები. რაც შეეხება მიშენებებთან დაკავშირებულ საკითხს — არასწორად იქნა აღქმული, დაპირება შეეხებოდა დაშენების, მიშენების ან კარ-ფანჯრის გადატანის გამო უკვე დაჯარიმებული პირების ამნისტიას. ჯარიმა ძირითადად გადაუხდელი აქვთ ისეთი კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველები და არ აქვთ შესაძლებლობა. რაც შეეხება დაკანონების საკითხებს — ლეგალიზაციაზე საკრებულოში შესაბამისი კომისია შეიქმნება, ეს იქნება მიწის და ქონების საკითხთა ლეგალიზაციის კომისია. თბილისის მერიის შესაბამისი სამსახური მოამზადებს დასკვნებს მდგრადობასთან, არქიტექტურულ მხარესთან დაკავშირებით და შემდეგ იქნება გადაწყვეტილება მიღებული. ეს არ იქნება ქაოტური პროცესი. ეს პროცესი გარკვეულ ჩარჩოში მოექცევა.

— რაც შეეხება მუნიციპალურ ტრანსპორტს - იგეგმებოდა ავტობუსების ჩანაცვლება. ასევე თბილისის მიკროავტობუსთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემებიც, ალბათ, ცნობილია თქვენთვის, მოსახლეობა უხარისხო მომსახურებას აპროტესტებს, ბოლო დროს გახშირდა მძღოლებსა და მგზავრებს შორის დაპირისპირებაც...

— ჩვენ ვაპირებთ, რომ გავაუმჯობესოთ სატრანსპორტო მომსახურება და მოქალაქეებისთვის გავხადოთ უფრო კომფორტული და ხელმისაწვდომი. ამისთვის აუცილებლად კვლევას ჩავატარებთ, გამოვკითხავთ მოსახლეობას. თუმცა, კვლევის გარეშეც რამდენიმე აუცილებელი ღონისძიების გატარება მალევე დაიწყება. ასევე მძღოლების უფლებების დაცვასთან დაკავშირებითაც ვაპირებთ აქტიურად ვიმუშაოთ.

მუნიციპალური ტრანსპორტი, ავტობუსების პარკი ეტაპობრივად განახლდება და ჩანაცვლდება ახალი თანამედროვე ავტობუსებით, რომელიც ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. არის მთელი რიგი უბნები, სადაც მუნიციპალური ტრანსპორტი ძალიან იშვიათად დადის ან საერთოდ არ დადის. ეს განსაკუთრებით თბილისს შემოერთებულ უბნებს ეხება, სადაც დამატებით დაინიშნება მარშრუტები.

— მოსალოდნელია თუ არა სატარიფო ცვლილებები?

— სატარიფო ცვლილებები დაგეგმილია შშმ პირებისა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირებისთვის. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირები სრულად გათავისუფლდებიან მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის ღირებულებისგან.

სხვა ნაწილში, ჩვენ კვლევა გვიჩვენებს სატარიფო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს და მხოლოდ ამაზე დაყრდნობით მივიღებთ გადაწყვეტილებას.

— „სითი პარკის“ თემას რაც შეეხება, თუ აპირებთ მათთან კონტრაქტის გადახედვას ან საერთოდ შეწყვეტას? თუ გაქვთ კონკრეტული გეგმა პარკირების საკითხთან დაკავშირებით?

— „სითი პარკთან“ დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ძალიან კაბალური და საზიანო ხელშეკრულებაა დადებული. ამიტომ ძალიან მკაცრად მოეთხოვებათ პასუხი იმ პირებს, ვინც თბილისის მერიის მხრიდან შესაბამის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი და მისცეს ვიზა. ვინაიდან სახელმწიფოს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, ვალდებულება დაეკისრება ამ ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უფრო ფრთხილად და სკრუპულოზურად უნდა მოვეკიდოთ მას. მაგრამ აუცილებელი იქნება ხელშეკრულებაში ცვლილებები და ამას გავაკეთებთ მუნიციპალიტეტის და ხალხის სასარგებლოდ და არ დავუშვებთ იმას, რომ ვინმემ ჩვენი თანამოქალაქეების საზიანოდ ჯიბე გაისქელოს და თავისკენ მიმართოს ხალხის ფული.

— დასუფთავების საკითხი საკმაოდ მწვავეა. არ ფიქრობთ, რომ აუცილებელია ქუჩაში ნაგვის დაყრისთვის არსებული საჯარიმო სანქციების რეალურად ამოქმედება?

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ სისუფთავის დაცვის თვალსაზრისით რამდენიმე კონკრეტული ღონისძიება გავატაროთ. იქნება საინფორმაციო კამპანია მოსახლეობაში. ჯარიმების ნაწილი რეალური და ქმედითი გახდება და ზედამხედველობის სამსახურს დაეკისრება მონიტორინგის განხორციელების პასუხისმგებლობა და მოუხდება კანონმდებლობის დამრღვევი დააჯარიმოს შესაბამისი ჯარიმით. ეს არამხოლოდ ფიზიკურ პირებს ეხება, არამედ იურიდიულ პირებსაც, რომლებიც წარმოქმნიან სამშენებლო ნარჩენებს ქალაქის სხვადასხვა ნაწილში და უკანონოდ ყრიან, მათზეც გავრცელდება პასუხისმგებლობა. ვფიქრობ, რამდენიმე ღონისძიების ერთობლივად გატარებით მივიღებთ შედეგს.

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲚᲔᲥᲨᲙᲐᲨᲔᲚᲘ

ᲘᲬᲧᲔᲑᲐ...

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ

ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲡᲪᲔᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ. — ᲩᲕᲔᲜ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲕᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲗ, ᲨᲔᲕᲐᲩᲔᲠᲔᲑᲗ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲑᲐᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲘᲜᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲗᲣ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲣᲬᲔᲡᲠᲘᲒᲝᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ, ᲬᲘᲜ ᲐᲦᲕᲣᲓᲒᲔᲑᲘᲗ, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, 250 ᲚᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ, 500-ᲚᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲚᲣᲠ ᲕᲐᲣᲩᲔᲠᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ.

ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲪᲕᲔᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲬᲔᲝᲑᲔᲑᲘ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲝᲯᲐᲮᲡ 800 ᲚᲐᲠᲘ ᲛᲘᲔᲪᲔᲛᲐ, ᲛᲔᲝᲗᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲗᲐᲡ ᲚᲐᲠᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ, ᲛᲔᲮᲣᲗᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲙᲘ — 1 500 ᲚᲐᲠᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐᲛ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲡᲝᲪᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ �პᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ 4 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ 840 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

◎ ჩვენი უფლებები

წულუკიანმა თავგასულ დამსაქმებლებს თითი დაუქნია

შრომის კოდექსით გამოწვეული შიში დამსაქმებლებს ძალიან ცოტა ხანი გაჰყვათ. ბოლო დროს უამრავი დასაქმებული ჩივის, რომ ყველაფერი ძველ კალაპოტში ბრუნდება. ე.წ. უფროსები თავიანც ხელქვეითებს კვლავ ჩაგრავენ და მძიმე პირობებში ამუშავებენ. ასეთი ინფორმაციები, როგორც ჩანს, იუსტიციის მინისტრის ყურამდეც მივიდა.

„კერძო სექტორმა კეთილი ინებოს და „შრომის კოდექსს“ პატივი სცეს“, – აცხადებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. მან პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას კატეგორიულად მოითხოვა, რომ დასაქმებულის უფლებები დაცული უნდა იყოს.

„დანანებით უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან ბევრი კერძო სექტორის წარმომადგენელი არაფრად დაგიდევთ ამ „შრომის კოდექსს“, რომლის შემუშავებაზეც ჩვენ ამდენი ვიწვალეთ და დასაქმებულები არიან ისევ უფლებების დარღვევის სიტუაციაში.

ჩვენ ამაზე, ალბათ, ერთად უნდა ვიფიქროთ, მთავრობამ და კანონმდებლებმა იმისთვის, რომ კერძო სექტორმა კეთილი ინებოს, შრომის კოდექსს პატივი სცეს და დასაქმებულის უფლებები დაიცვას. მით უმეტეს, რომ ჩვენ კერძო სექტორის ყველა ინტერესი გავითვალისწინეთ, როცა ამ „შრომის კოდექსზე“ ვმუშაობდით“, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

მისივე თქმით, „შრომის კოდექსის“ რეფორმის მეორე ტალღა ისევ ბიზნესთან არის მჭიდროდ დაკავშირებული, კერძოდ, საუბარია ქალთა უფლებების გაძლიერებაზე შრომით საქმიანობაში. მართალია, ეს პროცესი ცოტა შეფერხდა, რადგან „შრომის კოდექსის“ რეფორმის პირველი ტალღა ბიზნესისთვის, გარკვეულწილად, ემოციურად, ფსიქოლოგიურად და პრაქტიკულადაც მტკივნეული იყო, მაგრამ სამინისტრო ამ საკითხზე დებატების განახლებას შემოდგომიდან გეგმავს.

„დიდი იმედი მაქვს, რომ ბიზნესის მხარდაჭერას მოვიპოვებთ ქალთა უფლებების დაცვის სფეროში, რადგან როცა ქალთა უფლებები დაცულია, ეს ნიშნავს იმას, რომ ქალები შეძლებენ პროფესიულ და პირადი ცხოვრების მოგვარებას, ისე რომ ეს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე აისახოს“, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

პრობლემის მასშტაბურობას ადასტურებს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი. იგი გაუსაძლის პირობებში მომუშავე მოქალაქეებს სთხოვს, რომ დაუყოვნებლივ მიმართონ პროფკავშირებს.

„მათი ანონიმურობა დაცული იქნება, მით უმეტეს თუ 24 საათის განმავლობაში აიძულებენ მუშაობას და არ უხდიან ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურებას. მნიშვნელობა არ აქვს, ის ადამიანი მაღაზიაში მუშაობს, ფაბრიკაში, ბანკში თუ აფთიაქში – კანონი ყველასთვის კანონია და ამ ტიპის თავხედობას ბოლო უნდა მოეღოს“, – აცხადებს პეტრიაშვილი.

მისი აზრით, პრობლემების აღმოსაფხვრელად, საჭიროა, ქვეყანაში შეიქმნას შრომის ინსპექცია, რომელიც მონიტორინგს გაუწევს იმას თუ რამდენად იცავენ დამსაქმებლები და დასაქმებულები შრომის კოდექსს. სწორედ შრომის ინსპექცია უნდა ადევნებდეს თვალყურს, ხდება თუ არა ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების გადახდა, ირღვევა თუ არა დასაქმებულთა კონსტიტუციით და კანონით მინიჭებული ნორმა.

„ამ ყველაფრის მოსაგვარებლად უნდა აწარმოონ კოლექტიური მოლაპარაკებები, რამდენად დაცულია სამუშაო საწარმოებში შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმები და ა.შ. მით უმეტეს, რომ შრომის ინსპექციის შექმნა პირდაპირაა მოთხოვნილი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში“, – აცხადებს პეტრიაშვილი.

ბექა დანელია

◎ ქვეყნის მოვლის ნიჭი...

ლაზღანდარობის ფონზე დამტკიცებული მინისტრები

„პროცედურული დემოკრატიის მამად“ წოდებული დავით უსუფაშვილი, „გენიოსად“ აღიარებული გიორგი კანდელაკი, ჩიორა თაქთაქიშვილისთვის გადაცემული ბიძინა ივანიშვილის მოკითხვა, „მუზა დაკარგული“ გოგა ხაჩიძის „მადლობები ბატონ ბიძინას“ და „უფასო ფულის“ ძიება პარლამენტში - ასეთ ფორმატში მიმდინარეობდა ექვსი საათის განმავლობაში მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების პროცესი, რომელიც საპარლამენტო უმცირესობის პროტესტით დასრულდა. საკანონმდებლო ორგანომ განახლებული მინისტრთა კაბინეტი 89 მომხრე ხმით არც ერთის წინააღმდეგ ოპოზიციის გარეშე დაამტკიცა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა მთავრობას ნდობა არ გამოუცხადეს და რიგგარეშე სხდომა საკუთარი გამოსვლების შემდეგ დატოვეს, თუმცა, მანამდე პოლიტიკური დებატები გაიმართა, რომელიც პრემიერ-მინისტრმა გახსნა.

ირაკლი ღარიბაშვილმა დეპუტატებს სამთავრობო პროგრამა გააცნო და აღნიშნა, რომ 2014 წლის 1 სექტემბრიდან ქვეყანა ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპზე გადადის, რადგან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას იწყებს.

გამოსვლისას პრემიერი გახმაურებული საქმეების გამოძიების პროცესს შეეხო და აღნიშნა, რომ ყველა საქმე, რომელიც შეიძლება ეჭვს იწვევდეს, ისე უნდა იყოს გამოძიებული, რომ არც ერთი კითხვა არ დარჩეს პასუხგაუცემელი.

„რთული წლების იარების მოშუშება უნდა დავიწყოთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმე აპირებს, თვალი დახუჭოს დანაშაულზე, ან უარი თქვას ყველა იმ საქმის გამოძიებაზე, რომლითაც ხალხს და სახელმწიფოს ზიანი მიადგა.

სწორედ ამიტომ, საქართველოში მსოფლიოში აღიარებული და პრაქტიკოსი სპეციალისტები მოვიწვიეთ, რათა მათ დახმარება გაუწიონ ქართველ პროკურორებს, რომ ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით მოხდეს გამოძიება, მათ შორის, ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების საქმეების გამოძიებაც. მათი მონაწილეობა პროცესის სანდოობას გაზრდის და ყოველგვარ ეჭვს გაფანტავს“, – განაცხადა ღარიბაშვილმა, რომელსაც გოგა ხაჩიძემ კითხვით მიმართა – სახელმწიფო ბიუჯეტს სპეციალისტების მოწვევა თუ რა დაუჯდება. ამ კითხვის გარდა, ოპოზიციონერმა პრემიერისთვის იმ „უფასო ფულის“ შესახებ ბიძინა ივანიშვილის დაპირების შეხსენება სცადა, რომელიც მისი ინფორმაციით, ყოფილმა პრემიერმა 2012 წელს ყვარელში გასცა.

ხაჩიძეს დავით უსუფაშვილმა მიკროფონი გამოურთო, რის გამოც ოპოზიციონერმა ის „პროცედურული დემოკრატიის მამად“ მოიხსენია და პროტესტი ტრიბუნასთან მირბენით გამოხატა. ხაჩიძის პროტესტმა შედეგი ვერ გამოიღო და ის იძულებული გახდა, ივანიშვილის გამოსვლის სტენოგრამა თავად წაეკითხა.

„თქვენ მიიღებთ უფასო ფულს, გრძელვადიან უფასო ფულს. 10-წლიან და 20-წლიან კრედიტებს. ძალიან კარგად ვიცით, საიდან მოვიტანოთ ეს ფული და როგორ მოგაწოდოთ თქვენ - თქვენ მიიღებთ უფასო ფულს. ეს ბიძინა ივანიშვილის ციტატაა და თუ შეიძლება გვითხარით, რა მისამართზე მივაკითხოთ უფასო ფულს და ნულპროცენტიან კრედიტებს?“, – მიმართა პრემიერს ხაჩიძემ, რაზეც ღარიბაშვილმა მას პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში საინტერესო იდეის წარდგენა ურჩია და უპასუხა, რომ „სოფლის დახმარების“ პროგრამის ფარგლებში 400 მილიონი ლარი დაიხარჯა.

თანაგუნდელების მსგავსად, ხაჩიძე პრემიერის პასუხით უკმაყოფილო დარჩა და მან საკუთარი გამოსვლა „ბატონი ბიძინასთვის მადლობების“ გადახდით დასრულდა.

„პირდაპირ თქვენს ტონალობაში გადავალ – მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ბიძინას იმისთვის, რომ ასეთი პრემიერი დაგვინიშნა, დიდი მადლობა ბატონ ბიძინას იმისთვის, რომ ასეთი მთავრობა გვეყოლება, მადლობა ბატონ ბიძინას, რომ ასეთი პარლამენტი ვართ, დიდი მადლობა ბატონ ბიძინას, რომ ეკა ბესელია მუზებზე მესაუბრება, მადლობა ბატონ ბიძინას, რომ ნოდარ ხადურმა 700 მილიონი სად დაკარგა, კაცმა არ იცის და უკან ზის და ხითხითებს. მადლობა ბატონ ბიძინას, რომ ქურდებს ვიღებთ და ვაცილებთ ქვეყნიდან, მადლობა ბატონ ბიძინას ყველაფრისთვის, დიდი მადლობა, რომ მზე ამოდის საერთოდ, რომ ჩვენ ვარსებობთ. მადლობა, რომ ბატონი პარლამენტის თავმჯდომარე მიკროფონს არ მირთავს, უდიდესი მადლობა. მაპატიეთ, თუ რამე შეგცოდეთ და ინდაური რომ მყავდეს, იმასაც გავათავისუფლებდი. ისეთ რეალობაში ვართ, რომ აწი ღმერთი თუ მოგიმართავთ ხელს, თორემ არაფერი გიშველით და მადლობა ბატონ ბიძინას, რომ ამ სიტყვის წარმოთქმის დროს მეხი არ დამეცა“, – განაცხადა ხაჩიძემ, რომლის გამოსვლას მინისტრებისა და დეპუტატების ტაში და სიცილი მოჰყვა.

მართალია, ხაჩიძის გამოსვლაზე ეკა ბესელიასა და გოგი თოფაძესაც გაეცინათ, მაგრამ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ოპოზიციონერს „მუზის - მიშა მაგარიას“ დაკარგვის გამო მიუსამძიმრა, ხოლო თოფაძემ მას „ვაჟკაცუნა“ უწოდა.

ბესელიას შეფასებით, „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური გემოვნების მწვერვალი მიხეილ სააკაშვილი იყო.

„ხაჩიძის მესმის, რომლის მთავარი მუზა დაიკარგა და ის დღეს ვეღარ იმღერებს „მიშა მაგარიას“. ასევე იმ ადამიანების მესმის, რომლებიც იმ მინისტრებს უკრავდნენ ტაშს, რომლის დროსაც ქუჩაში გირგვლიანი, ვაზაგაშვილი, რობაქიძე და სხვები იხოცებოდნენ“, – განაცხადა ბესელიამ, რომლის მსგავსად, ხაჩიძე თოფაძემ გააკრიტიკა და მთავარ პროკურატურას მიმართა მისი გარემოს დაცვის მინისტრობის პერიოდი შეისწავლოს.

თოფაძის თქმით, ხაჩიძე არარაობიდან მინისტრი გახდა.

„ეს ვაჟკაცუნა, მინისტრი გახადეს, მაგრამ მისი მოღვაწეობა შესწავლილი უნდა იყოს“, – თქვა თოფაძემ, რომელსაც ხაჩიძემ ადგილიდან კითხვა დაუსვა – **„მინისტრობის დროს, რატომ აჩუქა თოფი?“**. ხაჩიძისთვის პასუხი თოფაძეს არ გაუცია, მაგრამ მას ტყემალაძემ უპასუხა, რომ „თოფაძემ თოფი იმისთვის აჩუქა, რომ თავი მოეკლა, მაგრამ არ მოიკლა“.

უმრავლესობის წევრებისა და ხაჩიძის დებატებში ზურაბ ჯაფარიძე ჩაერთო, რომელმაც ხაჩიძის დაცვის მიზნით აღნიშნა, რომ ის ნავთლუღში სესხით ნაყიდ ოროთახიან ბინაში ცხოვრობს, ხოლო გოგი თოფაძეს კუს ტბაზე სახლის ასაშენებლად მთა აქვს „გადაპარსული“.

ხაჩიძის გარდა, პრემიერს კითხვებით გიორგი კანდელაკმაც მიმართა, რომელიც დაინტერესდა, ის რასაც უკრაინაში რუსეთი აკეთებს, არის თუ არა სამხედრო აგრესია და საქართველოს ხელისუფლება „ბოინგ 777“-ის ჩამოგდებას რატომ უწოდებს ჩამოვარდნას. ოპოზიციონერმა მთავრობა ტყუილში, არაკომპეტენტურობასა და თვითკმაყოფილებაში დაადანაშაულა, პრემიერმა კი მას „გენიოსი“ უწოდა.

„ბატონო გიორგი, თქვენ ნამდვილი გენიოსი ხართ! თქვენს გამო ევროპელმა ლიდერებმა მაილებით სარგებლობა შეწყვიტეს, რადგან მათ ძალიან აწუხებთ“, – მიმართა ღარიბაშვილმა კანდელაკს და აღნიშნა, რომ უკრაინაში მთავრობის წევრები არაერთხელ იყვნენ ჩასულები და კიდევ ჩავლენ.

თავის მხრივ, ღარიბაშვილმა კანდელაკი დემაგოგიაში დაადანაშაულა და თაქთაქიშვილს გამოეხმაურა, რომელიც დაინტერესდა, თვლის თუ არა პრემიერი, რომ ვლადიმერ პუტინი არის საქართველოს მტერი და დაავალა თუ არა მას ივანიშვილმა, რომ ბარბარე რაფალიანცის საქმე პოლიტიკური ნიშნით გამოეყენებინა.

პრემიერმა თაქთაქიშვილს უპასუხა, რომ ბიძინა ივანიშვილმა მასთან დიდი მოკითხვა დააბარა. ღარიბაშვილის ამ პასუხს დარბაზში უმრავლესობის წევრების სიცილი და ტაში მოჰყვა, დავით უსუფაშვილმა კი საკუთარი გამოსვლა იმით დაიწყო, რომ „პუტინი მტერია“.

სპიკერმა საკუთარ გუნდს მოუწოდა, ოპონენტებთან „უსაგნო კამათში“ დრო აღარ დაკარგონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, „საქართველოს ჩემპიონატიდან“ გავარდებიან.

„ჩემპიონთა ლიგაში თამაში გადავწყვიტეთ, როცა ევროპასთან ასოციირების შესახებ ხელშეკრულება დავდეთ. ამიტომ, კეთილი ვინებოთ და შესაბამისი სტანდარტებით ვივარჯიშოთ. თუ „ამ ხალხს“ გავეჯიბრებით, საქართველოს ჩემპიონატიდანაც გავვარდებით, ანუ მომავალ არჩევნებში ვერაფერსაც ვეღარ მივიღებთ“, – განაცხადა უსუფაშვილმა, რომლის გამოსვლის შემდეგ დეპუტატებმა კენჭი მთავრობის განახლებულ შემადგენლობას უყარეს.

თეონა მანაგაძე

◎ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲣᲨᲕᲔᲚᲝᲗ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲐ!

UNDP: ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ **გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „ადამიანის განვითარების ანგარიში“. ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, დგინდება ქვეყნების რეიტინგი და განვითარების ინდექსი. კვლევა მოიცავს 187 ქვეყანას და ინდექსით იზომება სამი ძირითადი კომპონენტი: ხანგრძლივი და ჯანსაღი სიცოცხლე, ხელმისაწვდომი განათლება და ღირსეული ცხოვრების დონე. საქართველო რეიტინგში 79-ე ადგილზეა, რეგიონის ქვეყნებს რამდენიმე პუნქტით უსწრებს და მაღალი განვითარების ქვეყნების რიგში ხვდება, თუმცა, გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშის თანახმად, მთავარ პრობლემად რჩება მთლიანი ეროვნული შემოსავლის თითოეულ მოსახლეზე უთანაბროდ გადანაწილების საკითხი.**

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ყოველწლიური „ადამიანის განვითარების ანგარიშის“ თანახმად, საქართველო, 187 ქვეყანას შორის თავისი 79-ე ადგილით, ადამიანის მაღალი განვითარების კატეგორიაში ხვდება და ბრაზილიას უტოლდება. ანგარიშის თანახმად, 2005-2013 წლებში საქართველოს სტანდარტი მთლიანად 4,8 %-ით გაიზარდა, ცალ-ცალკე თითოეული კომპონენტის მიხედვით კი, 1980-2013 წლებში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 4,6 წლით გაიზარდა და დღეს 74,3 წელს უტოლდება. საშუალო სასწავლო წლების ოდენობა არ შეცვლილა, ხოლო სასწავლო წლების მოსალოდნელი ოდენობა გაიზარდა 0,4 წლით.1990-2013 წ.წ.-ში საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 35.0%-ით შემცირდა და 6 ათას 890 აშშ დოლარს უდრის.

როგორც გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისის პროგრამული ნაწილის ხელმძღვანელი **ნათია ნაცვლიშვილი** ამბობს, ადამიანის განვითარების ინდექსი, დღეს არსებული ყველა სხვა მაჩვენებლისგან განსხვავებით, უკეთ ზომავს ქვეყანაში არსებული კეთილდღეობის სტანდარტს. 90-იან წლებამდე კეთილდღეობა მხოლოდ და მხოლოდ შემოსავლების ოდენობით იზომებოდა, ანუ ქვეყნის ერთიანი შიდა პროდუქტის მიხედვით. თუმცა, მოგვიანებით დაიწყო იმაზე საუბარი, თუ რა პირობებში ეძლევა ადამიანს განათლების მიღების შესაძლებლობა. მეორე ინდიკატორია, აქვს თუ არა ადამიანს თავის ჯანმრთელობაზე ზრუნვის შესაძლებლობა.

ჩვენ გვაინტერესებს არა საშუალო ადამიანი როგორ ცხოვრობს საქართველოში, არამედ გვაინტერესებს, თუ რა მდგომარეობაა ქვეყანაში არსებული რესურსების განაწილების უთანასწორობის კუთხით, ანუ ზოგიერთ ადამიანს უფრო მეტი შემოსავალი აქვს, ზოგიერთს ნაკლები...

საგულისხმოა, რომ გაეროს მიერ შემუშავებული ინდიკატორების მიხედვით, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა იზომება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით და, ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით, ქვეყნები ოთხ კატეგორიად იყოფა: ძალიან მაღალი განვითარების ქვეყნები, მეორე არის მაღალი, მესამე — საშუალო და მეოთხე — ადამიანის დაბალი განვითარების ქვეყნები. ნათია ნაცვლიშვილის თქმით, საქართველოს ინდექსი წლების მიხედვით მზარდია — წელიწადში 0,5 %-ით, თუმცა ეს არ არის მნიშვნელოვანი ზრდა.

„ჩვენ გვაინტერესებს არა საშუალო ადამიანი როგორ ცხოვრობს საქართველოში, არამედ გვაინტერესებს, თუ რა მდგომარეობაა ქვეყანაში არსებული რესურსების განაწილების უთანასწორობის თვალსაზრისით, ანუ ზოგიერთ ადამიანს უფრო მეტი შემოსავალი აქვს, ზოგიერთს ნაკლები, ზოგიერთს მეტი ხელმისაწვდომობა აქვს ჯანდაცვაზე, ზოგიერთს ნაკლები. თუკი ჩვენ ამ კუთხით შევხედავთ საქართველოში არსებულ მდგომარეობას, სამწუხაროდ, საქართველოს ჰუმანური განვითარების ინდექსს აკლდება დაახლოებით 14% იმის გამო, რომ ქვეყანაში არის უთანასწორობა. გეტყვით, რომ ეს არ არის მცირე დანაკარგი, საგრძნობი დანაკარგია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში რესურსების განაწილება, შესაძლებელია, არ არის იმდენად ოპტიმალური, როგორც სხვა ქვეყნებში და თუ ციფრებს შევხედავთ, ყველაზე მეტად უთანაბრო მაინც შემოსავალია“.

როდესაც გაეროს ადამიანის განვითარების ინდიკატორებში შემოსავალზეა საუბარი, როგორც კეთილდღეობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ პუნქტზე, ყურადღება მახვილდება გენდერულ თანასწორობაზეც. ნათია ნაცვლიშვილის თქმით, ეს კვლევაც ადასტურებს, რომ მამაკაცებისა და ქალების შემოსავალი საქართველოში უთანასწორია: **„მამაკაცებისთვის საგრძნობლად მაღალია გენდერული ინდექსი, ვიდრე ქალებისთვის. საშუალო მაჩვენებელი თუ არის 0,744, მამაკაცებისთვის ეს მაჩვენებელი არის 0,758 და ქალებისთვის — 0,713, ანუ ქალები, როგორც ჯგუფი, უფრო უარყოფით მდგომარეობაშია საქართველოში და ეს უთანასწორობა განსაკუთრებით გამოწვეულია შემოსავლებში არსებული უთანასწორობით, ანუ აღმოჩნდა, რომ მამაკაცებს, ქალებთან შედარებით, ორჯერ მეტი შემოსავალი აქვთ“.**

როგორიც არის, მაგალითად, დიაბეტი, პალიატიური მზრუნველობა, რაც ხშირად სჭირდებათ ამ ასაკის ადამიანებს. ასევე ინფექციური დაავადებები... სულ, ჯამში, ასეთი დაავადებებისა და მიზნობრივი პროგრამების რიცხვი 20-მდეა...

გაეროს განვითარების პროგრამის წლევანდელი ანგარიშის რეკომენდაცია მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოსთვისაც არის სოციალური დაცვის გარანტიების გაზრდა და საყოველთაო დასაქმება.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელ მაია დარახველიძის თქმით, ქვეყანაში იზრდება სოციალური დაცვის გარანტიები. ეს შეეხება საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევის სისტემას, შემწეობებს, მშობიარობის დაფინანსებას და სხვ. რაც შეეხება ხანდაზმულთა სამედიცინო მომსახურებას, ასაკობრივი ხაზით სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა 2012 წლის სექტემბრიდან მოქმედებს და ამჟამად მიმდინარეობს მისი ინტეგრირება საყოველთაო ჯანდაცვაში. თუმცა, როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი მაია დარახველიძე ამბობს, სხვადასხვა დაავადების მიხედვით, ხანდაზმულებისთვის მუშაობს მიზნობრივი პროგრამებიც:

„როგორიც არის, მაგალითად, დიაბეტი, პალიატიური მზრუნველობა, რაც ხშირად სჭირდებათ ამ ასაკის ადამიანებს. ასევე ინფექციური დაავადებები... სულ, ასეთი დაავადებებისა და მიზნობრივი პროგრამების რიცხვი 20-მდეა, გარდა საყოველთაო ჯანდაცვისა“.

ეკონომიკის საკითხებში ექსპერტ ლევან კალანდაძის თქმით, ადრე მიღებული სტანდარტის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკის ზრდა იყო ქვეყნის განვითარების მაჩვენებელი, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა საქართველოში მცირედ, მაგრამ წლიდან წლამდე იზრდება, ქვეყანა მაინც არ ვითარდება: **„საზოგადოების უდიდესი ნაწილის ხელმისაწვდომობა მთლიან, ერთობლივ სიკეთეზე მინიმალურია და საზოგადოების მცირე ჯგუფს მიუწვდება ხელი ამ სიკეთეებსა და დოვლათზე, რომელიც ქვეყანაში იქმნება. ხოლო როგორ უნდა გაიზარდოს წვდომა, აქ რაიმე ქართული ველოსიპედის მოგონება არ გვჭირდება, თანამედროვე მსოფლიომ გაიარა ეს გზა და გარკვეული სტანდარტი ქცევისა. სახელმწიფო პოლიტიკა ამ თვალსაზრისით შეუშავებულია და, პირველ რიგში, ეს არის განათლება“.**

ლევან კალანდაძის თქმით, მეორე აუცილებელი პირობაა დასაქმება, რომელსაც მხოლოდ სახელმწიფო სექტორი ვერ გასწვდება. საჭიროა, კერძო ბიზნესის გათავისუფლება, რათა ბიზნესსექტორმა გაზარდოს დასაქმებულთა ოდენობა, და მესამეა უცხოური ინვესტიციების გაზრდა. სხვა შემთხვევაში, ლევან კალანდაძის თქმით, საერთო ეროვნული სიკეთის წვდომის თვალსაზრისით მდგომარეობა არ გამოსწორდება.

ᲜᲘᲜᲝ ᲮᲐᲠᲐᲫᲔ

◎ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲔᲚᲘ - ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია წარმოადგინა. სტრატეგია საერთაშორისო დონორებთან, მრავალპროფილიან ინსტიტუტებთან, კერძო ფონდებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა და 2014-2020 წლებისთვის საშუალოვადიანი სტრატეგიული მიმართულებებისა და ღონისძიებების ერთობლიობას წარმოადგენს.**

დოკუმენტში ჩამოთვლილია გასატარებელი სტრატეგიული ღონისძიებები, 7 სტრატეგიული ამოცანის თანახმად. ესენია:

სტრატეგია 1: ფერმერთა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამ მიმართულებით იგეგმება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარება. კერძოდ, გაუმჯობესდება მიწის რეგისტრაციისა და საკადასტრო რუკები, მოხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის მთელი ფონდის ინვენტარიზაცია. ასევე დაგეგმილია ფერმერთა რეესტრის შექმნა, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სალიზინგო სისტემის გაძლიერების შესაბამისი საშუალებების შექმნა ან განვითარება, სექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კოოპერატივების შექმნას, ასევე სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის საკითხს.

სტრატეგია 2: დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა.

ამ მიმართულებით განზრახულია რეგიონებისთვის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პრიორიტეტულ დარგებში ინვესტირების გეგმების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა. აგრეთვე, ადგილწარმოშობის და გეოგრაფიული აღნიშვნის სქემისა და ქართული ბრენდების განვითარების, სათესი-სანერგე მასალის სერტიფიცირების პროცესის მხარდაჭერა. მოხდება მოსავლის აღების შემდგომი პროცესების, საწყობებისა და ოპერაციების განვითარების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელშეწყობის ამაღლება, საბაზრო ინფორმაციული სისტემის შექმნა სექტორში დასაქმებულთათვის. ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია მარკეტინგული პროგრამების საშუალებით და სხვ.

სტარეგია 3: ინსტიტუციური განვითარება და ტრენინგი მოიცავს როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანალიტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებას, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს პერსონალისა და ფერმერთა ცოდნის ამაღლების ღონისძიებებს.

სტრატეგია 4: რეგიონალური და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მოიცავს ირიგაციისა და დრენაჟის სისტემის გაუმჯობესებას, ფერმერული ბაზრების შექმნას.

სტრატეგია 5: სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგი, უმეტესად მცირე ზომის მეურნეობების ხელშეწყობით.

სტრატეგია 6: სასურსათო უვნებლობა, რაც ითვალისწინებს სურსათის უვნებლობისა და ფიტოსანიტარიის სისტემის ამოქმედებას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. ასევე ამ მიმართულებით იგეგმება ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება.

სტრატეგია 7: ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს დაცვის პროგრამების შემუშავება, ენდემური ჯიშების შენარჩუნება.

ამ ღონისძიებების დაფინანსება იგეგმება სახელმწიფო ბიუჯეტის, სესხებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი გრანტების მეშვეობით. გარკეული გათვლები კეთდება ასევე საერთაშორისო კერძო ინვესტიციების მოზიდვაზე.

ᲜᲘᲜᲝ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲫᲔ,
ᲠᲐᲓᲘᲝ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“

მაინც სად არის სანაქებო დასავლური დემოკრატია?!

2014 წლის 15 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 137 ნომერში გამოქვეყნდა „ამერიკის ხმაში“ გასული იან ბჟეზინსკის ინტერვიუ, სათაურით „ნატო გაფართოების საკითხებით დაიღალა“. ინტერვიუ დამაფიქრებელია, და ასახავს იმ არასწორ პოლიტიკურ ამბიციებს, რითაც სულდგმულობენ აშშ-ის ადმინისტრაცია და მასზე მიბმული ევროპელი მოკავშირეები.

პოლიტიკა, რომელსაც ვაშინგტონი მიმართავს, უდავოდ, წინააღმდეგობრივია და დაფუძნებულია მხოლოდ დამხოლოდ ბატონყმურ ურთიერთობებზე, არა მარტო არამოკავშირე ქვეყნებთან, არამედ მოკავშირეებთან, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. თუმცა, მათი უკმაყოფილება, მით უმეტეს საჯარო განცხადებები დიდი ბატონის მისამართით, მეტ კატეგორიულობას რომ შეიცავდეს, წაადგებოდა როგორც ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციას, ისე მსოფლიო პოლიტიკას.

სულ ახლახანს, აშშ-მა რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები მიიღო, ამასთანავე სერიოზული ზემოქმედება განახორციელა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე, კერძოდ, თეთრმა სახლმა ჭკუის „გასარეცხად“ ლექცია ჩაუტარა აშშ-ის აკრედიტებულ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ელჩებს, ეს შეხვედრა ევროკავშირის სამიტის წინა დღეს გაიმართა, ერთი მიზნით – რუსეთის დასჯა.

მართალია, ევროკავშირმა მთლიანად ვერ შეასრულა აშშ-ის დავალება, მაგრამ არც ხელი დააკლო, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი, მათ შორის გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, სხვები კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ამერიკის მოთხოვნისა. რა გაეწყობა, რომ იტყვიან - „ძალა აღმართს ხნავს“.

მაინც, რაში ადანაშაულებენ რუსეთს? – უკრაინის საკითხებში და იმაში, რომ რუსეთი არაფერს აკეთებს უკრაინაში არსებული სამხედრო დაპირისპირების გასანეიტრალებლად. არადა რუსეთმა მოითხოვა რუსეთ-უკრაინის საზღვრებზე ეუთოს დამკვირვებლების განლაგება, კიევის ხელისუფლებასა და ამბოხებულებს შორის მოლაპარაკების გაგრძელება და ა.შ.

მიუხედავად კრემლის წინადადებებისა, ვაშინგტონი მაინც მას ადანაშაულებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კრემლი ყოველთვის დამნაშავე იქნება. წინასწარ დაწერილი ამერიკული სცენარი ასეთია და მას რუსეთის პოზიტიური მოქმედება ვერ გადაარჩენს.

სად არის ყბადაღებული დასავლური დემოკრატია?

არსად! როდესაც ევროკავშირის ლოკომოტივად წოდებული გერმანია, ამერიკელთა მხრიდან დამცირებული, ხმას ვერ იღებს ან ისე იღებს, სულ სიტყვების შერჩევაშია – არ ეწყინოსო, დემოკრატია არ ჰქვია. ევროპელ მოკავშირეს რომ ამერიკელი პარტნიორის შიში აქვს, რაღა პარტნიორობაა?

აშშ-მა მიმდინარე წლის განმავლობაში არაერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა გერმანიას – ჯერ კანცლერის სატელეფონო საუბრების პერმანენტული მოსმენით, შემდეგ – პირდაპირი ჯაშუშობით. და ეს, მარტო წელს არ დაწყებულა. ეს მრავალი წელია, გრძელდება, რითაც გერმანიას მილიონობით დოლარის ზარალი მიადგა.

მკითხველი იკითხავს – მერე გერმანიამ რაო? გერმანია შეწუხდა და კანცლერმა მერკელმა საჯარო გამოსვლაში განაცხადა, პარტნიორები ასე არ უნდა იქცეოდნენო. მან ისიც დაამატა, მილიონი პრობლემაა და სჯობს ჯაშუშობის ნაცვლად, მას მივაქციოთ ყურადღებაო. ერთი სიტყვით, კანცლერმა, მსგავსად კატა ლეოპოლდისა, განაცხადა, მოდით, მეგობრულად ვიცხოვროთო.



რით არის ესოდენ ზომაზე მეტად აწონილ-დაწონილი პასუხი გამოწვეული?

უპირველესად, იმით, რომ „დემოკრატიულ“ დასავლეთში არავითარი დემოკრატია არ არის. მეორე – გერმანიას ეშინია აშშ-ისა, ვინ იცის, გაბრაზებულმა, რა მოიმოქმედოსო.

დიდ-პატარობა ამერიკამ საბჭოთა კავშირიდან გადაიღო, თუ თვით შეიმუშავა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტი სახეზეა, ყველა მოკავშირე ისეა შეშინებული, საბჭოეთს, რომ შეშურდებოდა.

აფსუს, დსთ-ში, სადაც არათუ კრემლის რკინის ხელი არ იგრძნობა, ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, ისეთი ვითარებაა შექმნილი. რუსეთს, რომელსაც ლამის ფოლადის მკვნეტელად და დესპოტიზმის მამად მოიხსენიებენ მთელს მსოფლიოში, არაფრად აგდებს მისი პირველი მოკავშირე ბელორუსის პრეზიდენტი და ისეთ განცხადებებს აკეთებს უკრაინასთან მიმართებაში, არათუ მე, არამედ პუტინსაც თმები ყალყზე დაუდგებოდა. ლუკაშენკომ დაგმო ყირიმის რუსეთში დაბრუნება, სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის ბრძოლა კიევის ხელისუფლების წინააღმდეგ და უკრაინის ხელისუფალთ ურჩია, მტკიცედ ებრძოლონ სეპარატიზმს.

საჯაროდ რუსეთის არც ერთ მაღალჩინოსანს სასაყვედურო სიტყვა არ დაუძრავს ლუკაშენკოს მისამართით. კრემლს არც ის უთქვამს, თუნდაც სინანულით, რომ დსთ-ს არც ერთმა წევრმა არ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. რა გაეწყობა, ისინი დამოუკიდებელი სახელმწიფოებია, თანაც რუსეთთან დაახლოებული, მაგრამ არა მონურად, საკუთარი სუვერენიტეტის დაკარგვის ხარჯზე.

მკითხველს ემახსოვრება კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ამერიკის მიერ მისი აღიარება. აღიარა ამერიკამ და აღიარეს აშშ-ის მოკავშირეებმა, ყოველგვარი პოლემიკის გარეშე. კიდევ ერთხელ – აფსუს, დსთ!

პატივცემულ იანს (ბჟეზინსკის), მეტი ყურადღება რომ გაემახვილებინა დასავლურ დემოკრატიაზე, გაცილებით საინტერესო იქნებოდა, ვიდრე მრავალჯერ გადაღეჭილი ანტირუსული პროპაგანდა – ასახული ჟურნალისტისთვის მიცემულ პასუხებში. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მასაც ერიდება (შეიძლება ეშინია კიდევაც) აშშ-ის ადმინისტრაციის პოლიტიკის აუგად მოხსენიების, რაც სულაც არ არის გასაკვირი.

რუსეთის დამცველად არ გამოვდგები, მას ისედაც ჰყავს ასეთები, თუნდაც ჩვენში, მაგრამ ჭეშმარიტება მოითხოვს, ვაღიაროთ – თეთრი თეთრად და შავი შავად. ამდენად თავს უფლებას მივცემ, შევედავო ბატონ იან ბჟეზინსკის. მაინც, რამ გაანაწყო ესოდენ მტრულად ბჟეზინსკი რუსეთის მიმართ? ნუთუ პოლონური წარმომავლობაა თავი და თავი?

რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ნატო აღმოსავლეთით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ გაფართოებულა, რაც ცუდია, ვინაიდან „არასწორი გზავნილია, როგორც იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ნატოში გაწევრებას ცდილობენ, ასევე პუტინისა და რუსეთისთვის. ეს განამტკიცებს პუტინის რწმენას, რომ მათ შეუძლიათ პროცესის შეჩერება, შეუძლიათ ერთიანი, განუყოფელი და თავისუფალი ევროპის იდეის დასრულება“.

რესპონდენტი უკმაყოფილოა იმით, რომ ნატოს წევრი სახელმწიფოები ანგარიშს უწევენ რუსეთს და იზიარებენ მის აზრს.

აკი რუსეთს არაფერი ეკითხება, ნატოში ვინ და როდის შევაო? გახსოვთ ალბათ რასმუსენის გამონათქვამები.

დიახ! რუსეთი ნატოს წევრი არ არის და გაწევრებასთან დაკავშირებით არც კენჭისყრაში იღებს მონაწილეობას. მაგრამ, ის ნატოს წევრზე მეტია, თუნდაც იმით, რომ გადადგა ნაბიჯები, მეტად სარისკო საშიში, რასაც ვარშავის პაქტის დაშლა ჰქვია. აღარაფერს ვიტყვი ბერლინის კედლის დაშლაზე.

მაგრამ ეს ნაბიჯი, მაშინდელმა საბჭოთა ხელმძღვანელებმა გადადგეს აშშ-ის სიტყვიერი ფიცის შემდეგ, რომ სოციალისტური ბანაკის არც ერთი სახელმწიფო ნატოში არ შევიდოდა. აშშ-მა დაარღვია სიტყვიერი ფიცი და არა მარტო ყოფილი სოცქვეყნები შეიყვანა ნატოში, არამედ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფნიც. ფიცის გატეხვა ცუდია, მით უმეტეს პოლიტიკაში.

ვაშინგტონმა იცის ყოველივე ეს და ამდენად, მრავალჯერ დარღვეული დაპირების გამო ჯერჯერობით თავს იკავებს აღმოსავლეთით გაფართოებისგან, რაც მისასალმებელია. მან იცის, რომ მსგავსი ნაბიჯი უაღრესად დაძაბავს რუსეთთან ისედაც დაძაბულ ურთიერთობას.

რესპონდენტი აცხადებს: „იმედი მქონდა, რომ უელსის სამიტზე ალიანსი საქართველოს სამოქმედო გეგმას მისცემდა, რაც გაწევრების გარანტია ჯერ კიდევ არ გახდება. ეს მხოლოდ დაპირებაა... ნატოში გაწევრებას წინ ეღობება რუსეთთან დაპირისპირების თავიდან აცილების სურვილი. გარდა ამისა, „კუდიანებზე“ ნადირობა, ოპოზიციის წინააღმდეგ სასამართლოს შურისძიების მიზნით გამოყენება“...

თქვენც, ბატონო იან?! იანი მარტო არ არის, უფრო სწორად ის სააკაშვილის მიერ „გაგიჟებულ“ და მსუყედ ნაპატიებ ამერიკა-ევროპის პოლიტიკოსთა ხმასაა აყოლილი. ეს პოლიტიკოსები ხომ ხმალამოღებული იბრძვიან კრიმინალი „ნაციონალური მოძრაობის“ დასაცავად?! ქურდის, გარეწრის, მკვლელის, თოფიანი ყაჩაღის დამცველი შეიძლება იყოს დემოკრატი ან სამართლიანი ადამიანი?

ანტიერთვნული, ანტიხალხური, თანაც ბანდიტური ძვეძნის დამაძცევარი ნაციონალური პარტია დიდი ხანია კანონგარეშე, აკრძალური უნდა ყოფილიყო, ხოლო მისი ლიდერები – ციხეში. ნაცვლად ამისა, „დემოკრატიული“ დასავლეთი თანაცხოვრებას მოითხოვს ჩვენგან, ანუ დამაძცევართან ჩახუტებას. ეს არის დასავლური დემოკრატია?!

შეკითხვაზე, ველოდოთ, თუ არა დამატებით დაძაბულობას საქართველოსა და რუსეთს შორის, რესპონდენტი პასუხობს: „– დიახ, ველოდები. ისეთი ქვეყნები, როგორიცაა მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი და, შესაძლოა, ყაზახეთი, რუსეთის მზარდი ზეწოლის ობიექტი გახდეს. პუტინს სურს, რომ მოსკოვის გავლენის სფერო გაზარდოს“.

„უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე პუტინმა არაერთხელ დადო პირობა, რომ უკრაინაზე ზეწოლას შეამსუბუქებდა, თუმცა, პირობის შესასრულებლად არაფერი გაუკეთებია. პირიქით, ლუგანსკსა და დონეცკსში სეპარატისტებს იარაღს აწვდის...“, – ამბობს რესპონდენტი, თანაც აშკარა ტენდენციურობით, სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სპიკერის ფსაკის აზროვნების დონეზე.

ამ ტრაფარეტულ ანტირუსულ მოსაზრებას ვაშინგტონის პოლიტიკა გამუდმებით იმეორებს, აინუნშიც არ აგდებს იმას, რომ მსოფლიო ჩალით აღარ არის დახურული. რუსეთი დაბეჯითებით აცხადებს – იარაღის მიწოდების ერთი მაგალითი მაინც დაასახელეთო. პასუხი არ ჩანს.

შემდეგ, პატივცემული რესპონდენტი ნეგატიურად მოიხსენიებს დასავლეთს: „დასავლეთს აკლია სტრატეგიული ხედვა და მორალური თანაგრძნობა ქვეყნისადმი, რომელსაც რუსეთი თავს დაესხა“.

„რუსეთი თავს დაესხაო“ – ამ სიტყვებით პატივცემული იანი მთლად უპატივცემლობას იმსახურებს, ვინაიდან მწარედ ტყუის. რუსეთი კი არ დაესხა თავს უკრაინას, არამედ აშშ-ის მიერ გაწვრთნილ-გამოზრდილი უკრაინელი ნეოფაშისტები და ისე დაესხნენ, რომ ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს.

ნეოფაშისტთა და ბანდერელთა ენით აუწერელმა სისასტიკემ, ხალხის წამებამ, ცოცხლად დაწვამ (ოდესა), მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვამ და ა.შ., სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინას თოფი ააღებინა ხელში, ჩაატარებინა რეფერენდუმი, კიევის ხელისუფლებისგან, ანუ უკრაინისგან გამოყოფის თაობაზე.

კრიმინალების ხელისუფლებას დასავლეთი მხარს უჭერს და არა იმიტომ, რომ მას უკრაინის ბედი ადარდებს, მას რუსეთი ჰყავს მიზანში. მისი დაჩოქება სურს და ეკონომიკურად ისეთ დონეზე დაყვანა, რომ ამერიკასთან მეტოქეობაზე ხელი აიღოს. ამისთვის რესპონდენტი რუსეთისთვის მკაცრი სანქციების დაწესებას მიიჩნევს. „სანქციები რომ დავუწესოთ, დასავლეთს ალბათ გარკვეული ეკონომიკური ტკივილი მიადგება, მაგრამ რუსეთისთვის ეს უდიდესი დარტყმა იქნება“, – აცხადებს იანი.

რას ნიშნავს გლობალიზებულ მსოფლიოში ეკონომიკური სანქციები? თვით ამერიკელ ექსპერტთა აზრით – თვითმკვლელობას და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბიზნესის საქმეში პოლიტიკის ხელის ფათურს. აშშ-მა ხელის გრეხვით აიძულა, ამერიკული ბიზნესი შეეკვეცა თავისი საქმიანობა რუსეთთან, უფრო მეტიც – აუკრძალა მონაწილეობა მიეღო სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკურ სამიტში.

სულ ახლახანს, ბრიტანეთის ფარნბოროს ავიასალონში რუსეთის საჰაერო მრეწველობას მონაწილეობაზე უარი უთხრეს. არადა, რუსეთი თავისი სამხედრო და სამოქალაქო ავიაციით ხელწამოსაკრავი ქვეყანა არ არის. ფარნბორო რა მოსატანია, როდესაც მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალს ვაშინგტონის პოლიტიკა-პროპაგანდას აყოლილი მსახიობები არ დაესწრნენ.

ორიოდე სიტყვით ეკონომიკურ სანქციებთან დაკავშირებით. სულ ახლახანს, პრესისთვის ცნობილი გახდა აშშ-ის პრეზიდენტ ობამას განცხადება ურუგვაის პრეზიდენტ მუჰიკასთან ლაპარაკის დროს. კუბისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის ობამამ სურვილი გამოთქვა. როგორც პრესა აღნიშნავს, ამერიკის განცხადება დადებითად აღიქმება კუბაში, სახელმწიფოში, სადაც 50 წელიწადია მოქმედებს ამერიკული სანქციები.

ეკონომიკური სანქციები სხვა ქვეყნებშიც მოქმედებს – ჩრდილოეთ კორეაში, ირანში, რუსეთში, სხვაგან. ყველა მათგანის ინიციატორი აშშ-ია – ზოგი სანქცია გაეროს უშიშროების საბჭოში ამერიკელთა ზეწოლითაა მიღებული, ზოგიც თვით ამერიკის მიერ. მაგალითად, ირანის წინააღმდეგ აშშ-მა მკაცრი ეკონომიკური სანქციები მიაღებინა გაეროს უშიშროების საბჭოს. გარდა ამისა, თვით მან მიიღო სანქციები და დააძალა თავის მოკავშირეებს მსგავსად ემოქმედათ.

რომ არა ეკონომიკური სანქციები, წარმოიდგინეთ ცხოვრების რა დონე იქნებოდა კუბაზე ან ჩრდილოეთ კორეაში? მკითხველი შემედავება, კორეის ცხოვრების დონეზე. მაგრამ დავფიქრდეთ, კორეელი კორეელია, როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში. თუ ამ ხალხის ნიჭმა და მონდომებამ სამხრეთში სასწაულები მოახდინა, ჩრდილოეთში რა ღმერთი გაუწყრებოდათ. ვიღაც იტყვის – ჩრდილოეთში კომუნისტური სისტემაა. კეთილი, ჩინეთში, რა სისტემაა?

ერთი ქვეყნის მიერ ეკონომიკური სანქციების დაწესების პრაქტიკა დაგმეს „ბრიკსის“ სამიტის მონაწილე ქვეყნებმა, რომელიც სულ ახლახანს გაიმართა ბრაზილიაში. ბრაზილიის, რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთის და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტებმა აღნიშნეს, რომ ასეთი ვოლუნტარიზმი აღსაკვეთია.

„ბრიკსის“ ნათქვამი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს გაერთიანება თავისი ეკონომიკური პოტენციალით უმძლავრესია მსოფლიოში, ისევე როგორც მოსახლეობის რაოდენობით.

სანქციების დრო ისტორიას ჩაბარდა, თუმცა, აშშ მზადაა, გაუხანგრძლივოს მას სიცოცხლე და ამით გაიხანგრძლივოს მსოფლიო პირველობა. რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა მსოფლიო უნდა დაარწმუნოს ამერიკელთა არასამართლიან ქცევაში.

როდესაც პირველი ქვეყანა სხვას აშინებს, პურს არ მოგცემ, თუ ისე არ იაზროვნე, როგორც მეო, – გულის ამრევია და მას

არავითარი კავშირი არ აქვს დემოკრატიასთან.

ბატონი იანისადმი მიმართული პასუხის მიზანი ის არის, რომ ბჟეზინსკის მცდარი მოსაზრებებით ბინდმორეულ ქართულ საზოგადოებას ობიექტური აზრი გაუჩნდეს, როგორც იან ბჟეზინსკის, ისე ამერიკის პოლიტიკის მიმართ.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.



უკრაინასთან კრემლის მოქმედების სავარუდო გეგმებზე „ინტერპრესნიუსი“ რუს პოლიტოლოგს ბორის სოკოლოვს ესაუბრა. იგი 2008 წელს იმის გამო დაითხოვეს უნივერსიტეტიდან, რომ მან რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას „წაგლეჯვა სუდეტურად“ უწოდა და საქართველოს მიმართ პუტინ-მედვედევის ქმედება ჩეხეთის მიმართ ჰიტლერის მოქმედებას შეადარა.

რუსეთის მძიმე ორსულობა აქვს!..

— ბატონო ბორის, როგორ შეაფასებდით უკრაინაში მიმდინარე პროცესებს და თქვენი აზრით, უახლოეს მომავალში მოქმედების რა სტრატეგია ექნება კრემლს უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში?

— ბუნებრივია, არ შეიძლება ვიცოდე პუტინის გეგმების შესახებ, მაგრამ შემიძლია ვივარაუდო, რომ პუტინი შეეცდება, რომ დონეცკსა და ლუგანსკში მოქმედმა ბოევიკებმა რაც შეიძლება დიდხანს გაძლონ და ამ ოლქებში სიტუაციის არევა მოახერხოს. თუ ეს ოლქები უკრაინულმა ჯარებმა დაიკავეს, ამ შემთხვევაში პუტინის გეგმით ამავე რეგიონებში ბოევიკები გააგრძელებენ დივერსიულ საქმიანობას. რუსეთიდან შევლენ დივერსიული ჯგუფები და სხვადასხვა ობიექტების აფეთქებებს განახორციელებენ იმისათვის, რომ უკრაინაში შენარჩუნებულ იქნეს დესტაბილიზაციის წყარო. კრემლის მიზანია, საბოლოო ჯამში შესაძლებელი გახდეს უკრაინის ხელისუფლებაში პროპუსული ძალების მოყვანა. მართალია, უკრაინის პოლიტიკურ წრეებში ასეთები პრაქტიკულად, თითქმის აღარც კი არიან, მაგრამ მოსკოვი რომ უკრაინასთან დაკავშირებით ამ სქემით იმოქმედებს, აშკარაა.

— გამოდის, რომ კრემლს „ნოვოროსიის პროექტი“ არ დაუხურავს, როგორც ამას ბევრი ვარაუდობს...

— ნოვოროსიის პროექტთან დაკავშირებით არასწორი შეფასებები კეთდებოდა, ვინაიდან კრემლს თავიდანვე არ ჰქონდა გეგმაში ნოვოროსიის პროექტის ფარგლებში გაჩენილიყო ახალი სახელმწიფო წარმონაქმნები. პუტინის აზრით, მისი გაჩენის აუცილებლობა ნაკარნახები იყო მთელ უკრაინაში დესტაბილიზაციის შექმნით და მთელი უკრაინის მოსკოვის გავლენის სფეროში მოსაქცევად, რათა შემდეგ უკრაინა ევრაზიული კავშირის წევრი გამხდარიყო.

— ცნობილი რუსი პოლიტოლოგის სტანისლავ ბელკოვსკის მტკიცებით, — პუტინი გამარჯვებასთან ახლოს იყო, ვინაიდან მან შეძლო ევროპის გახლეჩა და სანქციების თავიდან აცილება, მაგრამ აფეთქებულმა მალაიზიურმა ბოინგმა მისი გეგმები ერთიანად არია და იგი ახლა განრისხებულია. მართალია, პუტინმა ვერა და ვერ მოახერხა უკრაინის საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებზე პრეზიდენტ ობამას დაყოლიება, მაგრამ ბოინგის აფეთქებამდე მას უკრაინული პარტიის მოგება თითქმის გარანტირებული ჰქონდა. თქვენ იზიარებთ ბელკოვსკის ამგვარ შეფასებებს?

— არა, არ ვიზიარებ. პირადად მე, ასეთ დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ ბოინგის აფეთქებას და მასზე საერთაშორისო საზოგადოების რეაქციას. ფაქტია, რომ ვაშინგტონი არც აპირებდა მოსკოვთან უკრაინის საკითხზე მოსკოვთან მოლაპარაკებების დაწყებას. სიმართლეს კი შესაბამება, რომ კრემლი ცდილობდა ევროპაში უკრაინის საკითხზე განხეთქილების შეტანას, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობებზე საკმაოდ მკაცრი მიდგომები აქვს თავად უკრაინის ხელისუფლებას და ევროპა იძულებულია არა მარტო ანგარიში გაუწიოს, არამედ გაითვალისწინოს კიევის ინტერესები.

— რა გავლენას იქონიებს რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციები? შეძლებს ევროპა უკრაინაში რუსული ექსპანსიის ეკონომიკური სანქციებით შეჩერებას?

— დაწესებული სანქციებიდან ყველაზე სერიოზული აშშ-მ დააწესა. ისიც ისეთი გლობალური არაა, რომ რუსეთის ეკონომიკაზე სწრაფად აისახოს. თუ ევროკავშირი სანქციებს კიდევ უფრო გააძლიერებს, მაშინ ამას რუსეთის ეკონომიკა იგრძნობს, მაგრამ იმისათვის, რომ აიძულო რუსეთი უკან დაიხიოს, ამისათვის საჭიროა გლობალური სანქციების დაწესება, რომელიც რუსეთის ეკონომიკის გარკვეულ სფეროებზე სერიოზულად აისახებოდა.

ევროკავშირის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციები ისეთი სიძლიერის არ არის, რომ მასზე კრემლს სერიოზული რეაქცია ჰქონდეს. ევროკავშირის სანქციები საკმაოდ მკაცრი კია — იგი რუსეთისთვის, რა თქმა უნდა, მტკივნეული იქნება, მაგრამ, არასასიკვდილო.

— ამასწინათ ინტერნეტსივრცეში გაჩენილმა სერგეი გრიგორიანცის საკმაოდ საინტერესო სტატიამ დიდი მითქმა-მოთქმა და ინტერესი გამოიწვია. სტატიის ავტორი ამტკიცებს, რომ „პუტინს, უკვე აღარაფრის შეცვლა არ შეუძლია“, რომ „პუტინმა ანდროპოვის შეცდომები გაიმეორა“, ანუ, ანდროპოვის მსგავსად ქვეყნისთვის დემოკრატიული იმიჯის შესაქმნელად პარტოკრატები ინტელექტუალური კგბ-შნიკებით ჩაანაცვლა, მაგრამ ახლა მას არა ჰყავს დასაყრდენი იმისათვის, რომ ქვეყანაში რამე რეალურად შეცვალოს. მისივე აზრით, ქვეყანას მართავენ უშიშროების მაღალჩინოსნები, რომლებიც ახლა მილიარდერები არიან და მათ ინტერესებში არ შედის არც ქვეყნის საშინაო და არც საგარეო პოლიტიკაში კარდინალური ცვლილებები. თქვენი აზრით, რამდენად დამაჯერებლად გამოიყურება გრიგორიანცის დაკვირვებები, შეფასებები და დასკვნა?

— ჩემი აზრით, გრიგორიანცის შეფასებებში რამდენადმე გაზვიადებულია პუტინის ანდროპოვთან შედარების მცდელობა. მალაიზიური ბოინგის ტრაგედია სრულად არ იმეორებს 1983 წელს სამხრეთ კორეული ბოინგის ისტორიას. რაც არ უნდა ითქვას, მალაიზიური ბოინგი უკრაინის საჰაერო სივრცეში ჩამოვარდა. ახლა არავის ეპარება ეჭვი, რომ ბოინგის ჩამოგდება სეპარატისტების კისერზეა, რომელსაც მხარს რუსეთი უმაგრებს. წარმოუდგენელია სეპარატისტებს იმ დონის სამხედრო სპეციალისტები და ეკიპაჟი ჰყოლოდათ, რომლებსაც შეეძლოთ საკმაოდ რთული სარაკეტო კომპლექსის მართვა. მიუხედავად ამისა, მომხდარზე პირდაპირი პასუხისმგებლობა მოსკოვს არ ეკისრება.

> **თუ გინდათ, რომ რუსულმა ტელეარხებმა საქართველოს მოსახლეობაც არ გამოათაყვანოს, რუსული მხოლოდ გასართობი გადაცემები უნდა აყურებინოთ**

რაც შეეხება პუტინს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ უკრაინაში პუტინის პროექტი ჩავარდა, ეს რუსეთში ქვეყნის შიგნით არსებულ ვითარებაზე არანაირ გავლენას არ იქონიებს. საქმე იმაშია, რომ პუტინის ანტიუკრაინული პოლიტიკა რუსეთის მოსახლეობაში საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობს. უკვე ნათელია, რომ უკრაინული პროექტის გაგრძელება კრემლს მოუწევს. შესაძლოა, ისე აქტიურად არა, მაგრამ იგი ყველა შემთხვევაში რომ გაგრძელდება, სულ უფრო აშკარა ხდება, ანუ გაგრძელდება უკრაინაში დივერსიული საქმიანობა, უკრაინის ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევა. ისეთი პირი უჩანს, რომ რუსეთის ამგვარი პოლიტიკა კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება და ისიც აშკარაა, რომ დასავლეთის მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ სერიოზული ეკონომიკური სანქციების დაწესებამდე ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი გზაა გასავლელი.

— თქვენი აზრით, სავარაუდოდ, რა გავლენას მოახდენს რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესებაზე ის, თუ დადასტურდა, რომ მალაიზიური ბოინგის ტრაგედიაში რუსეთს ლომის წილი მიუძღვის?

— ჩემი აზრით, კომისია ვერასდროს დაადგენს, რომ მალაიზიური ბოინგი რუსეთმა ჩამოაგდო. შესაძლოა, დადგინდეს რაც ახლაც ცნობილია, ანუ ის, რომ ბოინგი ჩამოადგეს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის საშუალებით, რომელიც, როგორც ჩანს, სეპარატისტ-ოპოზიციელებს რუსეთმა მიაწოდა, მაგრამ ამაში რუსეთის მხოლოდ ირიბი ბრალეულობა იქნება. კომისია ვერ შეძლებს იმის დადგენას, თუ რომელმა ეკიპაჟმა განახორციელა ბოინგის ჩამოგდება.

— გერმანულ გაზეთ Frankfurter Allgemeine-ში გამოქვეყნდა ცნობილი რუსი მწერლის ვლადიმერ სოროკინის საინტერესო ესსე. იგი ასე სრულდება — „რუსეთი ორსულადაა უკრაინით. მშობიარობა გარდაუვალია. ჯერ კიდევ წინაა ნამდვილი ტკივილები, ჭიპლარის მოჭრა, ახალშობილის პირველი ყვირილი. ახალშობილი მიიღებს ლამაზ სახელს — იმპერიასთან დამშვიდობება. იქნება კი მისი ცხოვრება ბედნიერი? ეს არავინ იცის. ბევრი მას გულწრფელად უსურვებს გაიზარდოს ჯანმრთელი. რა მოუვა დედას? იმის გათვალისწინებით, რომ მშობიარობა რთული იქნება და იგი გართულებებით ჩაივლის — გაუძლებს კი ამ მშობიარობას დედის ორგანიზმი? ცოცხალ რუს მწერლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საინტერესო მწერლის მიერ აღწერილი სურათი რამდენად ახლოსაა რეალობასთან?

— ამ შემთხვევაში, სოროკინი მართალია იმ თვალსაზრისით, რომ უკრაინასთან განშორება სინამდვილეში იქნება რუსეთის განშორება იმპერიულ ილუზიებთან. თუ უკრაინა რეალურად ჩამოყალიბდა მოსკოვისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ეს იქნება რუსეთის იმპერიის აღდგენაზე იმედების დასრულება. მაგრამ, როგორ შეხვდება ამას რუსეთის საზოგადოება, ჯერ უცნობია. ჯერ ცნობილია ის, რომ რუსეთის მოსახლეობა უკრაინაში მიმდინარე პროცესებს საკმაოდ მტკივნეულად განიცდის. ამის მიზეზი კი გახლავთ ის, რომ რუსეთის მოსახლეობა კრემლის პროპაგანდისტული მანქანის გავლენის ქვეშ იმყოფება. სავარაუდოდ, ეს პროპაგანდა კიდევ კარგა ხანს იარსებებს. უფრო სწორად, იგი იმდენ ხანს იქნება, ვიდრე რუსეთის ხელისუფლებაში სერიოზული ცვლილებები არ მოხდება და კრემლს პუტინის ნაცვლად ახალი მმართველი არ ეყოლება.

— რუსულ პროპაგანდასთან დაკავშირებით მინდა, გკითხოთ. საქართველოში ახლა აქტიურად განიხილება რუსული ტელეარხებისთვის მაუწყებლობის მიცემა-არმიცემის საკითხი. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს თემა ჩვენთან საკმაოდ სერიოზულად მაშინ განიხილება, როცა საქართველოს მსგავსად ევროპული ინტეგრაციის გზით მიმავალმა მოლდოვამ და უკრაინამ რუსული ტელეარხების თავის ქვეყნებში მაუწყებლობა აკრძალეს. თქვენ როგორ შეაფასებდით საქართველოს ამ საკითხზე დაწყებულ მსჯელობას და, სავარაუდოდ, რას შეიძლება იგი ნიშნავდეს?

— თუ თბილისი რუსული ტელეარხების საქართველოზე მაუწყებლობის გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს მათზე მხოლოდ მკაცრი ცენზურის პირობებში უნდა იყოს შესაძლებელი. ჩვენს არხებზე მხოლოდ გასართობი პროგრამების ყურება შეიძლება. წარმოუდგენელია სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ჰქონდეთ იმ საინფორმაციო გამოშვებებისა და პოლიტიკური ტოქ-შოუების ყურების სურვილი, რომელთა 90% კრემლის იდეების პროპაგანდას ემსახურება. საერთოდ, ნებისმიერი რუსული ტელეარხის საინფორმაციო გამოშვებები რომ კრემლში დაწერილი პროპაგანდისტული სქემებით მუშაობენ, ორიენტირებული არიან არა მოსახლეობის ინფორმირებაზე, არამედ დეზინფორმირებაზე, კარგა ხანია საიდუმლოს არავისთვის არ წარმოადგენს.

რუსეთის ტელეარხები მოსახლეობის გამოთაყვანებაზე მუშაობენ. თუ გინდათ, რომ რუსულმა ტელეარხებმა საქართველოს მოსახლეობაც არ გამოათაყვანოს, რუსული მხოლოდ გასართობი გადაცემები უნდა აყურებინოთ. ახლა საქართველოში იმაზე გაცილებით ნაკლებმა ადამიანმა იცის რუსული ენა, ვიდრე უკრაინაში, შესაბამისად, თქვენს მოსახლეობაზე რუსული არხების გავლენა ნაკლები შეიძლება იყოს, მაგრამ რუსულ არხებზე რომ მხოლოდ გასართობი პროგრამებისა და კინოების ნახვა შეიძლება, ფაქტია. დანარჩენი რომ კრემლის პროპაგანდისტული მანქანის შემადგენელი ნაწილია, ამის უარყოფას კარგა ხანია, არც არავინ ცდილობს.

ესაუბრა
კობა გენდელიანი

◎ მისია დასრულებულია

ავღანეთიდან 23-ე ბატალიონი სრულად დაბრუნდა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებმა 4 თვის განმავლობაში ბაზა „ლეზერნეკზე“, ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში ISAF-ის მისია წარმატებით შეასრულეს.

23-ე ბატალიონი ბოლო ქართული ქვედანაყოფია, რომელმაც ISAF-ის მისიის ფარგლებში ჰელმანდის პროვინციაში საბრძოლო დავალებები საქართველოს დროშის ქვეშ შეასრულა.

23-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები ავღანეთში მისიის შესასრულებლად როტაციის წესით აპრილში გაემგზავრნენ. || ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცები ავღანეთში საბრძოლო ამოცანას მეორედ ასრულებდნენ. ისინი ორივე მისიის დასრულების შემდეგ საქართველოში უდანაკარგოდ დაბრუნდნენ.

◎ ვაი, ჩვენს პატრონს!

კიკუს უემოტანილი ფულით შევსებული ბიუჯეტი

კბარს მოგვადგა ელექტრონული მუსიკის ფესტივალის „უცოდველ“ ქურქში გახვეული გახრწნილებისა და სოდომ-გომორის ცოდვის მატარებელი ყირიმული ბაკქანალია „კაზანტიპი-2014“. კარს მოგვადგა-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ აგვისტოს მიწურულს ანაკლიაში ოფიციალურად დაბანაკდებიან „კაზანტიპელები“. არც დეკანოზთა საკრებულოს, არც პრესა-ტელევიზიიდან ქართველთა ზნეობასულიერების დამცველთა შეგონებებმა და არც „კაზანტიპის“ ჩატარების მოწინააღმდეგეთა აქციებმა გაჭრა — ეს საშინელება ოფიციალურად უნდა ჩატარდესო, ბრძანეს და რაოდენ სამწუხარო არ უნდა იყოს, რომ არა ჩვენი მთავრობის თანხმობა ამგვარი გახრწნილების მომსწრეები არ გავხდებოდით.

ამის მაგალითია შაბათ საღამოს მთავრობის კანცელარიასთან გამართული საპროტესტო აქცია. იმედი გვქონდა, შეიკრიბებოდა ყველა, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქართული ტრადიცია, სულიერი ღირებულება, მაგრამ სამწუხაროდ არცთუ ისე ბევრი ადამიანი მოგროვდა დანიშნულ ადგილზე. თავდაპირველად აქციის ორგანიზატორად ბიზნესმენი ლევან ვასაძე სახელდებოდა. ყველას მოგეხსენებათ რამხელა სიყვარული და გავლენა მოიპოვა ამ მართლაც ნიჭიერმა და ერისთვის გულდათუთქულმა ახალგაზრდა კაცმა. მის პატრიოტულ განცხადებებსა და საქმეს ბევრი მომხრე ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ ლევან ვასაძემ უარყო აქციის ორგანიზატორობა, მან თავისი პოზიცია სახალხოდ დააფიქსირა.

„იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ახალგაზრდებს ჩვენ ვუკრძალავთ როკ-მუსიკის, ჯაზის ან ნებისმიერი მიმდინარეობის მოსმენას. ჩვენმა საყვარელმა ახალგაზრდობამ არც იცის ზოგჯერ, რა არის „კაზანტიპი“ და მიდიან იქ, მოსწონთ, ლამაზი სლავი გოგონები ჩამოვლენ, გაერთობიან — ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ „კაზანტიპი“ არ არის მუსიკალური ფესტივალი. საქართველოში რომ ნარკოტიკების მოხმარება მიუღებელია, ვიცით, მაგრამ კიკეთში ყოველ ზაფხულს ტარდება „კიკეთი ოპენ აირ“, სადაც სასწრაფო სასწრაფოზე მოდის, გაჰყავთ ახალგაზრდები. ეს იცის ყველამ, მაგრამ ერთხელ არავინ დაუკავებიათ იქ ნარკოტიკების გავრცელება-მოხმარებაზე. „კაზანტიპი“ მიმაჩნია სექტანტურ ორგანიზაციად... ნარკოტიკები ერთი პრობლემაა, გარყვნილება, ჯგუფური სექსუალური ბაკქანალია - მეორე. ბატონი სიგუა რომ ადვოკატობს ახლა, საკუთარ მეგრულ გვარს მაინც სცეს პატივი. არგუმენტი იმის შესახებ, რომ ეს ფულს შემოიტანს, არის უბადრუკი. საქართველოში მილიონზე მეტი ტურისტი შემოდის წელიწადში და 10 000 ტურისტის ჩამოსვლა, ელემენტარული არითმეტიკაა, 1 პროცენტია“.

თბილისის საკრებულოს დეპუტატი **სოსო მანჯავიძე,** როგორც აქციის ერთ-ერთი მონაწილე, განმარტავს, რომ „**შევიკრიბებით და პეტიციას წავიკითხავთ, რომ საქართველოს მთავრობამ მხედველობაში მიიღოს ჩვენი პოზიცია და მომავალში მსგავსი ფესტივალები აღარ გაიმართოს. ჩვენი ხელისუფლება, ალბათ, უკან დახევას ვეღარ მოახერხებს, რადგან შესაბამისი ხელშეკრულებები უკვე გაფორმებულია, მაგრამ იმას მაინც მივაღწევთ, რომ რეგულარული ხასიათი აღარ მიიღოს ასეთმა ფესტივალმა. მით უმეტეს, ყველა დაინახავს, რა იქნება ეს „კაზანტიპი“. ამავე პოზიციას იზიარებს ბატონი ლევანი, უბრალოდ, ის მოერიდა აჟიოტაჟს. „კაზანტიპის“ მომხრეებს ჰგონიათ, რომ ევროპა არის მაინცდამაინც „კაზანტიპი“, შიშვლად სირბილი, ფსიქოდელიკები, ხოლო ვინც ამის წინააღმდეგია, ის რუსოფილია. არ შეიძლება ადამიანების ცემა-ტყეპა, მით უმეტეს, უცხოელების ცემა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ სტუმარ-მასპინძლის ქვეყანა ვართ. კატეგორიულად არ ვეთანხმები აგრესიით განწყობილ ადამიანებს, პროტესტი მშვიდად უნდა გამოვხატოთ, ამას გაცილებით მეტი ძალა აქვს, ვიდრე აგრესიულ მოქმედებებს“.**

რამდენად გაიხდის ანაკლიის პოლიცმაისტერი

„კაზანტიპი“ თუ როგორი გარყვნილებისა და ვახკჰალიის ბუდეა ეს ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად უწყიან ჩვენსავე გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით. აქციაზე ანაკლიელი ქალბატონებიც იყვნენ ჩამობრძანებული, მაგრამ არა პროტესტის ნიშნად. მათი პროტესტი აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ იქნა მიმართული. თურმე, ჩვენ ყოველგვარ სიახლეს ვუშლით ხელს, თურმე, მათი აზრით, ამგვარი შეხვედრები და ფესტივალები ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს და უფრო მეტიც, ადგილობრივების, ანუ ანაკლიელების ბიუჯეტსაც შევავსებთ. ზოგმა ისიც განაცხადა, რომ მთელი წელია ამ ფესტივალისთვის ემზადებიან — აქ ხომ ბინების გაქირავებით უამრავ ფულს იშოვნიან, ფული შემოვა ადგილობრივი პროდუქტისა და ნაწარმის გაყიდვით და ათ დღეში რა ისეთი საშინელებები უნდა მოეწყოს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა გაირყვნასო.

აი, ყველაზე დიდი საშინელება. ამ ქალბატონების გასაგონად მინდა, ვთქვა — ჩვენი სულიერი ღირებულებებისა და ტრადიციების გაყიდვით გამდიდრების მოსურნენო, თქვენ ალბათ ფულზე ნამუსსაც გაყიდით, თქვენს სახლებს ბორდელებადაც გადააქცევთ და თქვენს ქალიშვილებსაც გაუშვებთ იქ დროის სატარებლად. ალბათ სიამოვნებით დაითვლით იმ ოცდაათ ვერცხლს ყოველ საღამოს, როდესაც თქვენი ასულები შემოიტანენ (სხვათა შორის, მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს „კაზანტიპის“ მესვეურნი უფასოდ ეპატიჟებიან ფესტივალზე), ხელში ჩაგითვალიან და აკანკალებული ხმით წამოიკნავლებენ საცოდავი კიკუსავით — „ა, ბაბაია ფული, ბევრი ფული“... და როგორ წაგეხმარებათ ეს ფული ოჯახის ბიუჯეტის შევსებაში. მოკლედ კოლხებმა ის სირცხვილი ჯერაც ვერ ჩამოვირეცხეთ ანაკლია რომ ქართველი გოგო-ბიჭების ყიდვა-გაყიდვის ბაზრად გვქონდა საუკუნეების მანძილზე გადაქცეული, ახლაც რომ „რკიანს ანაკლია“ („კივის ანაკლია“. **მეგრ**). მათი ცოდვით. საუკუნეების შემდეგაც გვესმის მათი კვნესა-ტირილის ხმა. სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ამ „ბაზრობის“, თანამოძმეთა გაყიდვის ცოდვა ჩვენს თავზე ტრიალებს უფრო მეტად, ვიდრე გამყვან-მყიდველ თურქების კისერზე. ახლა სოდომ-გომორის ცოდვა უნდა დავაკანონოთ, მხოლოდ იმისთვის, რომ ტურიზმი განვავითაროთ და თბილისში აქციაზე ჩამოსული ანაკლიელი ქალბატონების ოჯახების ბიუჯეტი შევავსოთ.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი **ზვიად ტომარაძე** აცხადებს რომ **„კაზანტიპის“ ჩატარება უამრავი მიზეზის გამო გაუმართლებელია. მათ შორის, იმის გამოც, რომ აქ არის მრავალი დაავადების გავრცელების რისკი. ქართველების ბუნებიდან გამომდინარე კი, აუცილებლად დაიწყება საქმის გარჩევები, აყალ-მაყალი და შფოთი. ამას ემატება ისიც, რომ „კაზანტიპის“ ფესტივალზე ქალბატონებს უფასოდ ეპატიჟებიან, განსხვავებით, მამაკაცებისგან, რაც გენდერული ნიშნით მამაკაცების პირდაპირი დისკრიმინაციაა.**

ამბობენ, „კაზანტიპზე“ ისეთი არაფერი ხდება, რაც ღამის კლუბებში, მაგრამ კლუბებთან შედარებით აქ მასშტაბებზეა საუბარი. კლუბი მაინც დახურულია, ეს კი არის ორგიები, 10-დღიანი ფესტივალი, რომელიც მომავალშიც ყოველწლიურად ჩატარდება ანაკლიის სამკილომეტრიან ზოლში. გარდა ამისა, ეს ფესტივალი რელიგიური კუთხითაც დაუშვებელია, რაზეც პროტესტი სასულიერო პირებმაც გამოხატეს.

კი ბატონო, ამბობენ ტურიზმიო, მაგრამ ტურიზმის საპირწონე მრავალი რამ არის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „კაზანტიპზე“ არატრადიციული ორიენტაციის ხალხი მრავლად მოიყრის თავს და ეს ე.წ. ფესტივალი არატრადიციული ორიენტაციის წახალისებას უწყობს ხელს“.

თავს ზემოთ ძალა არ არის. დაველოდოთ როგორ ჩათავდება ეს „ფესტივალი“. წინელები შემოდგომაზე დავითვალოთ — რამდენი განარკომანებული, დასნებოვნებული და გახრწნილი თანამემამულე შეემატება ისედაც ჯოჯოხეთის გზას შემდგარ უამრავ ჩვენს თანამემამულეს და მერე ვითვალოთ კიკუს შემოტანილი ფული ბიუჯეტში. ისე მთავრობაც თუ დაფიქრდება იმაზე რამდენი თანხა დაჭირდება ფოთის, ბოდიშით, ანაკლიის პოლიცმაისტერს, რომ გაიხადოს? დროა, ამაზეც დავფიქრდეთ.

მამუკა ვაშაკიძე

P. S. გუშინ ლევან ვასაძემ, ზვიად ტომარაძემ და სოსო მანჯავიძემ პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს „კაზანტიპის“ ფესტივალის საწინააღმდეგო პეტიციით მიმართეს. პეტიციაში ნათქვამია, რომ ფესტივალი ემსახურება გარყვნილების დანერგვას და მიმართულია ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ.

პეტიციის ავტორები აცხადებენ, რომ ეს ფესტივალი არის ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მასიურად მოხმარების ადგილი.

„რაც კიდევ უარესია მისი ორგანიზატორები მას არ მიიჩნევენ უბრალოდ მუსიკალურ ფესტივალად, გაფორმებული ჰყავთ ეს ორგანიზაცია „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ სტატუსით, ჰყავთ „მთავრობა„ და აქვთ საკუთარი „კანონები და წესები.“ ამრიგად მათი ფესტივალის ტერიტორიაზე ისინი ცნობენ ამ არალეგიტიმურ წარმონაქმნის სტრუქტურებს. ამგვარად ისინი არღვევენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის იურისდიქციას და არიან არა ფესტივალის, არამედ მკვეთრად გამოხატული სექტის თვისებების მატარებელი ორგანიზაცია, აქედან გამომდინარე, ღონისძიების მიმდინარეობისას მოსალოდნელია უმართავი პროცესების განვითარება. ჩვენი კონსტიტუცია კი კრძალავს საზოგადოებაში დაპირისპირებისა და შუღლის გამომწვევი ღონისძიებების ჩატარებასა და მხარდაჭერას. ზემოთ მოყვანილ არგუმენტებთან შედარებით უსუსურია დამატებითი ტურისტული შემოსავლების არგუმენტის მოყვანა. ჩვენს ქვეყანას ისედაც არ აკლია ტურისტების მოძალება, ეს სექტორი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია ჩვენ ეკონომიკაში და „კაზანტიპის„ მსგავსი შემოსავლები არ არის არც აუცილებელი და არც მისაღები მისთვის, განსაკუთრებით იმ მავნებლობასთან და საფრთხეებთან შეწონვით, რომლებზეც მოგახსენეთ. „დაუშვებელია, რომ საზოგადოების ნების იგნორირება ნორმად გადაიქცეს. იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოს მთავრობა გაითავისებს პასუხისმგებლობას, არ დაუპირისპირდება საზოგადოებას და არ დაუშვებს ამ ფესტივალის გამართვას“, — აღნიშნულია პეტიციაში.

მ. ვ.

დედამიწის ზურგზე

კალიფორნიაში ელვამ ახალგაზრდა კაცი მოკლა, რომელიც პლაჟზე ისვენებდა

ლოს-ანჯელესის პოპულარულ პლაჟზე მოულოდნელად დაწყებული ჭექა-ქუხილი ნაპირიდან ახლოს მოხვდა ელექტრონულ განმუხტვაში. ელვისაგან დაზარალებული 13 კაცი აღმოჩნდა, რომელთაგანაც ერთი ჰოსპიტალში გარდაიცვალა. კუნძულ სანტა-კატალინაში, რომელიც კალიფორნიის სანაპიროდან შორს არაა, დაზიანდა გოლფისტი.

* * *

მსოფლიოს გადაუარა დემონსტრაციებმა და მიტინგებმა ისრაელის მოქმედებათა წინააღმდეგ ღაზის სექტორში

ათასობით მომიტინგე, რომლებიც პროტესტს გამოხატავენ ისრაელის შეტევის გამო ღაზის სექტორში, შეეჯახა პოლიციას პარიზში. რამდენიმე ათასი კაცი გამოვიდა ლონდონის ქუჩებში ისრაელის მოქმედების წინააღმდეგ ღაზის სექტორში. პალესტინის დასაცავი მრავალათასიანი აქცია გაიმართა კვირას ნიდერლანდშიც.

* * *

გერმანულმა დაზვერვამ ისაუბრა განხეთქილების შესახებ პუტინის გარემოცვაში — სურთ იგი „დაამუხრუჭონ“

ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობაში დასავლეთის სანქციების მოქმედების შედეგად დაიწყო ბრძოლა მკაცრი პოლიტიკური კურსის მომხრეებსა და ბიზნეს-ელიტის წარმომადგენლებს შორის, რომლებსაც ეშინიათ თავიანთი საქმეების გამო, მიაჩნიათ დაზვერვაში. იქ მიიჩნევენ, რომ რუს ოლიგარქებს, რომლებსაც შეეხოთ ევროკავშირის სანქციები, სურთ, მოაწყონ ზემოქმედება პრეზიდენტზე.

* * *

აშშ-ის კონგრესში შეიტანეს რეზოლუცია უკრაინის ნატოს ბლოკგარეშე სამხედრო მოკავშირედ აღიარების შესახებ

კანონპროექტი შეიტანეს კონგრესმენებმა ორივე პარტიიდან ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის უკრაინული ჯგუფის თანათავმჯდომარის ჯიმ გერლახის მეთაურობით, აგრეთვე მერსი კაპტურმა და სანდერ ლევინმა.

კონგრესმენებს იმედი აქვთ, რომ კანონპროექტი განამტკიცებს ურთიერთობას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და უკრაინას შორის და უზრუნველყოფს კიევისთვის სეპარატისტებთან ბრძოლაში დახმარების გაწევას.

◎ ძვირფასი სილუეტები

სიყვარულო, ძალსა შენსა

ლეილა აბაშიძის 50 წლის წინანდელი ფოტო, ერთ კაცს, დღესაც გულის ჯიბით დააქვს

ძნელი წარმოსადგენია – ლეილა აბაშიძე 85 წლისა. რას ვიზამთ, ქართველი ხალხის ერთ-ერთ უსაყვარლეს მსახიობს ამ დღეებში კარგა გვარიანი საიუბილეო თარიღი აქვს.

ბევრჯერ გვისაუბრია. ვიფიქრე, ახლაც შევხვდებით-მეთქი, მაგრამ, ისეთი დროა, არ გამოვიდა ეგ საქმე და გულს ის მიმშვიდებს, ლეილა აბაშიძის შემოქმედება, მისი წარსული და დღევანდელობა, თითქმის მთელმა საქართველომ იცის და მეც ცოტას შეგახსენებთ.

კინომაყურებელთა მრავალი თაობისთვის, მართლაც რომ დაუვიწყარია ლეილა აბაშიძის მიერ ნიჭიერებით აღსავსე როლები კინოფილმებში – „ჭრიჭინა“, „აბეზარა“, „შეხვედრა მთაში“... დრამატული სახეები ფილმებში – „მაია წყნეთელი“, „შეხვედრა წარსულთან“ და ასე შემდეგ.

ბევრმა ისიც იცის, ყველაფერი კატოს როლით რომ დაიწყო კინოფილმ „ქაჯანაში“.

შემდეგ კი, როგორც იტყვიან, წავიდა და წავიდა... მისი სიხალისე, მისი სიცქრიალე, მისი ულამაზესი თვალების ეშხი ხიბლავდა და ატყვევებდა თაყვანისმცემელთ, უპირველესად კი, რა გასაკვირია, მამაკაცებს! მე თუ მკითხავთ, სწორედ მაშინ, სწორედ იმ დროს, როდესაც ლეილა აბაშიძე, ასე ვთქვათ, „მოდაში“ იყო, სპეციალურად მისთვის სცენარები უნდა შეექმნათ ქართველ კინოდრამატურგებს (ამასვე ვიტყვი სოფიკო ჭიაურელზეც), რათა მსახიობს ერთიანად გადაეტანა ეკრანზე საკუთარი ნიჭის უკიდეგანობა.

თუმცა, რაც გააკეთა, ლეილა აბაშიძე იმ შემოქმედებითაც იმსახურებს ღირსეულ ადგილს ჩვენი სათაყვანო ქალი მსახიობების უქრობ თანავარსკვლავედში.

ეთაყვანებოდნენ-მეთქი. ჩემი ნაცნობი, სიბერეშეპარული მამაკაცი, ერთ დროს თოჯინების თეატრის მსახიობი (გვარს არ ვასახელებ), დღესაც გულისჯიბით დაატარებს ლეილა აბაშიძის 50 წლის წინანდელ ფოტოს.

– თვითონაც იცის ეს და, ისიც იცის, როგორ ვეტრფი ახალგაზრდობიდანო, – მითხრა ერთხელ.

ამას რა ჯობს? ბოლოსდაბოლოს, მსახიობის (მეტადრე – ქალის) ბედნიერება მეტი რაღაა?.. თაყვანისმცემლები... თაყვანისმცემლები... თაყვანისმცემლები... ვიცი, რომ თაყვანისმცემელი და დამფასებელი „უსერიოზულეს“ ასაკშიც კი არ გაკლიათ თქვენ, ქალბატონო ლეილა!

მაშ, იცოცხლეთ და იჯანმრთელეთ!

აი, ვინ იმსახურებს ვარსკვლავს საკონცერტო დარბაზის წინ!

არ ვიყავით თქვენსავით განებივრებული ათასგვარი საესტრადო მუსიკით, ჩვენო ძვირფასო ახალგაზრდებო.

...გასული საუკუნის 50-იანი წლებია, ჯერ კიდევ „დგას ბნელი და უკუნი“, საესტრადო მუსიკა ნელ-ნელა შემოდის საბჭოთა საქართველოში. მე დედაჩემის ნამზითვი პატეფონით მეზობლის ბავშვებთან ერთად კოინდრიან ეზოში ვუსმენ „გეპეის“ ჯაზს, ვცვლი „პლასტინკას“ და ახლა „გეპეის“ ჯაზთან არსებული ვაჟთა ვოკალური კვარტეტი – **გურამ ბზვანელი, შოთა ხარაბაძე, თამაზ ცინცაძე, გურამ ბაკურაძე** – მღერის გულშიჩამწვდომ სიმღერებს: „დააჩქარე“, „ბორჯომის ხეობა“, „შენი თვალების დაღლილი ეშხი“, „წყალტუბოდან ქუთაისში“... ბიჭებს ნანი ბრეგვაძე ენაცვლება „ჩავაქრე სანთელი“ – მღერის იგი.

მე რა ვიცოდი მაშინ, რომ „გეპეის“ ჯაზთან არსებული ეს კვარტეტი უნიჭიერესი კომპოზიტორისა და მომღერლის **გურამ ბზვანელის** შექმნილი იყო, იგი „უცხოურ“ მუსიკალურ კულტურას ამკვიდრებდა საქართველოში და ეს სიმღერებიც, გულისამაჩუყებელი ჰანგებიც გურამ ბზვანელს ეკუთვნოდა.

– უკვე გვქონდა წარმატებები, – იგონებს 80 წლის გურამ ბზვანელი, – მსმენელს მოსწონდა „ახალი ხილი“, მთელი თბილისის ახალგაზრდობა ჩვენი თაყვანისმცემელი გახდა, თუმცა „ზემდგომი ორგანოები“ გამადიდებელი შუშით, ყურდაცქვეტილი აკვირდებოდნენ ყველაფერს – ტექსტს, მელოდიას.. „გეპეის“ ერთ-ერთმა პრორექტორმა „ცერეუს“ აგენტები და ამერიკული ხელოვნების პროპაგანდისტები შეგვარქვა. ცნობილი ფაქტია: გალაკტიონის უკვდავი სტრიქონი: „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავლო ქარო“ – მანამ არ გვამღერეს, სანამ ჩვენვე არ მივუმატეთ (კერძოდ, ბაჯული გელოვანმა) „სოციალისტური ყღერადობის“ სტრიქონები: „ქუთაისი ქალაქია ინდუსტრიის მშენებელი, წყალტუბო კი მხარე არის მისი დამამშვენებელი“. მაგალითად: ნაზი კილასონიას ლექსზე – „ნუკრია“, სიმღერა რომ შევქმენი, სტრიქონი – „ჩემი **პატარა** ცხოვრების აუხდენელო ზღაპარო“ ასე შეგვაცვლევინეს: „ჩემი **ლამაზი** ცხოვრების აუხდენელო ზღაპარო“. მოგვიანებით გოგი დოლიძემ და ეკა მამალაძემ აღადგინეს ავტორისეული სტრიქონი.

...ბატონი გურამის ბინაში ვსაუბრობთ. ჩვენს საუბარს ხანდახან უერთდება ხოლმე მისი მეუღლე, შესანიშნავი პუბლიცისტი, ესეისტი, ლიტერატურათმცოდნე ქალბატონი **თამილა მაკარიძე.** იგი იხსენებს:

– მე არ მაქვს უფლება, ვილაპარაკო კვარტეტის მიღწევებზე, მაგრამ ამას ნაღდად გავიხსენებ: მოსკოვში, ერთ-ერთ კონცერტზე სთხოვეს, დაეტოვებინათ ლოჟები და იარუსები, რომლებსაც შემოპარული ხალხის სიმრავლის გამო ჩამონგრევა ემუქრებოდა. გარედან ცხენოსანი მილიცია იცავდა შენობას. არც თბილისში იყო ადვილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვარტეტის კონცერტზე მოხვედრა... ბევრისგან გამიგონია, რომ მაგათ ერა შექმნეს, გემოვნებიანი მრავალხმიანობის მიმზიდველი ერა, ახლა დარჩენილია ტრიო (ხარაბაძე გარდაიცვალა). შეიძლება ითქვას დუეტიც – იმიტომ, რომ გურამი აღარ მღერის. გულში მღერის! როიალს მხოლოდ მაშინ უკრავს, როდესაც მარტოა, – სევდიანად იღიმება ქალბატონი თამილა. მერე ვიგებ, როგორ უყვარდათ მათ ერთმანეთი, როგორ დაქორწინდნენ 1956 წელს, როგორ იცხოვრეს დღემდე წესიერად და პატიოსნად და, როგორ შეჰხარიან ორ შვილს, ოთხ შვილიშვილსა და შვიდ შვილთაშვილს...

* * *

გურამ ბზვანელმა ნიჭიერება განა მარტო საესტრადო მუსიკას ჩააქსოვა. ძალზე მელოდიურია მისი სიმფონიური მუსიკაც, მუსიკა ბავშვებისთვის. – ვმუშაობ, ვწერ რაღაცებს, მაგრამ ისეთი დრო დადგა, თუ ფულს გადაიხდი, უპოპულარეს კაცს გაგხდის ტელევიზია, არ დაიშურებს დითირამბებს, გენიოსად მოგნათლავს. ამან ფულიანი უნიჭოების მოჭარბება გამოიწვია. რა უნდა ვქნა? უკადრებელს ვერ ვიკადრებ... თხოვნას ვერავის დავუწყებ... წარმოიდგინე, რადიო უფრო მწყალობს, – ამბობს ჩემი მასპინძელი.

ისევ ქალბატონი თამილა გვიერთდება: – ასე გახდა 80 წლის ჩემი გურამი, თუმცა, ვერც ყვავილების ჩუქება-მორთმევა ისწავლა, ვერც „ჭირიმე“ და „გენაცვალე“ ვათქმევინე. გვირეკავენ: „აკოცე გურამს ჩემს მაგივრად“. აკოცე კარგია, როგორ? თუ არ გაკოცნინებს? ვეხუტებით ერთმანეთს და ამით ყველაფერია ნათქვამი.

...აბა, რა გითხრათ, ჩემო ძვირფასებო, ეგ ჩახუტება არ მოგიშალოთ ღმერთმა, კარგა ხანს!

* * *

P. S. ისე, მე თუ მკითხავთ, სწორედ გურამ ბზვანელი იმსახურებს ვარსკვლავს თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ.

◎ მკვახე შეძახილი!

ცეცხლზე ნავთს ასხამთ, ბატონო ოთარ?!.

ნეტა, არ გადამეფურცლა გუშინდელი „ასამალ-დასამალი“ და არ წამეკითხა სათაური დიტო ჩუბინიძის კომენტარისა – „ქართველმა კინორეჟისორმა ოთარ იოსელიანმა თბილისი „სომხურ ძალაძად“ გამოაცხადა!“ დღეს, როდესაც აღარაფერი გვიკვირს, მაინც შევჩქვიფდი: „იქნებ, მთლად ასე არ არის?!“ იქნებ, მთლად ასე არ უთქვამს?!“

გაწყდა უკანასკნელი იმედის ძაფიც, როდესაც ტექსტი წავიკითხე!

მოკლედ, ახლახან ერევანში გამართულ კინოფესტივალზე უჩვენებიათ ცნობილი ქართველი კინორეჟისორის ოთარ იოსელიანის ფილმებიც, სამახსოვრო ჯილდოც გადაუციათ მისთვის მასპინძლებს, შემდეგ კი ერთ-ერთი გაზეთისთვის იოსელიანს ინტერვიუ მიუცია, რომელშიც, ერთგან სიტყვასიტყვით ამბობს: „თბილისი ყოველთვის იყო სომხური ძალაძე – ის ხომ სომხებმა ააშენეს!“

– რა ხდება, ბატონო ოთარ?! თქვენ, ცხადია, იცით, თუ როგორ „გვედავებიან“ სომეხი „მეცნიერები“, „მწერლები“, „ჟურნალისტები“, რომ, თითქოს, რუსთაველი, სტალინი (და ყველა, ვინც კი სახელოვანი გვყავს) სომეხია, ესა თუ ის ტერიტორია სომხურია, უამრავი ეკლესია სომხების აშენებულია და ა. შ... თქვენ, საქვეყნოდ ცნობილი ხელოვანი კი პირდაპირ აცხადებთ, თბილისი სომხური ქალაქიაო, საქართველოს მტრებს, ვაიმეცნიერებს საკბილოს აძლევთ და ამით ცეცხლზე ნავთს ასხამთ?!

რა თქმა უნდა, გაკვირვებული და გაჯავრებულია ჩვენი კოლეგა დიტო ჩუბინიძე, რა თქმა უნდა, ცეცხლს ანთებს და, ასეთ „მიქარვებში“, როგორც ყოველთვის, დაუნდობელია ჩვენი სახელოვანი პოეტი რეზო ამაშუკელი, რომელიც იქვე ბეჭდავს თავის რეპლიკას: „იძნებ ძართული ანბანიც მესრეპ მაშტოცმა შეიძნა“?!.

უბედურება ის არის, რომ ოთარ იოსელიანის ამ სიტყვებს ვერ დავაბრალებთ „ენის გადაბრუნებას“, ანუ „ლაფსუს ლინგვას“, ვერ დავაბრალებთ ინტერვიუერის უკულმართობას. ყოველივე ნათლად იკითხება: „თბილისი ყოველთვის იყო სომხური ძალაძე – ის ხომ სომხებმა ააშენეს!“

ეს არის ფაქტი – 80 წლის ოთარ იოსელიანისთვის დიდად სამარცხვინო, ჩვენთვის კი დიდად სავალალო!!!

ახია ჩვენზე, განა ტყუილ-უბრალოდ შეგვარქვეს სომხებმა „გიჟ-ვრაცუები“!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ ალიანჩალიანი

„ნაბელლავის“ ქარხნის მუშაობა შეფერხებულია

ძლიერი წვიმის შედეგად დაიტბორა „ნაბელლავის“ მინერალური წყლის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაც.

„წყალი მარგებელის“ ინფორმაციით, სტიქიის შედეგად „ნაბელლავის“ ქარხანაში მუშაობა შეფერხებულია. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ვიქტორია ჟიჟკომ განუცხადა, ქარხანა 2-3 დღეში ამუშავდება.

– ზარალი საკმაოდ დიდია, თუმცა, ძირითადი დანადგარები დაზიანებული არ არის. ამჟამად მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები, სავარაუდოდ, ქარხანა 2-3 დღეში ამუშვდება. „წყალი მარგებელი“ მოგახსენებთ, რომ პროდუქციის მარაგები საკმარისია იმისთვის, რომ ბაზარზე დეფიციტი არ შეიქმნას. ქარხნის სრული ამუშავება დაახლოებით 10 დღეში იგეგმება, – განაცხადა ჟიჟკომ.

სოფელ ამაღლებაში 12-მდე ოჯახი დაზარალდა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ვანის გამგებელმა ზაზა ხურციძემ განუცხადა, წყალი საცხოვრებელი სახლების პირველ სართულზე შევიდა.

– მოსახლეობას გაუნადგურდა სახნავ-სათესები. რაც შეეხება საცხოვრებლებს, ჩვენ ვეხმარებით სახლების გაწმენდაში, თუმცა, სრულად გასუფთავება ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან შლამი, რომელიც წყალდიდობის შედეგად ოჯახებში შევარდა, უნდა გაშრეს და მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი სრულად გაწმენდა, – აცხადებს ხურციძე.

ვანის რაიონში წყალდიდობას სამი ადამიანი ემსხვერპლა. ადიდებულმა მდინარემ ხიდი წაიღო, რომელზეც მანქანა მოძრაობდა. მანქანაში ხუთი ადამიანი იმყოფებოდა. ორი მგზავრი გადარჩა, სამი ადამიანი კი დაიხრჩო.

◎ ჭიდაობა

ხინჩეგაშვილმა დაიწყო, ქაჯაიამ დააგვირგვინა

3 „ოქრო“, 3 „ვერცხლი“ და 1 „ბრინჯაო“ – ასეთი ნადავლით დაბრუნდნენ ქართველი ფალავნები აზერბაიჯანის დედაქალაქიდან, სადაც ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის სახელობის ოქროს გრან პრის ფინალური ტურნირი გაიმართა. შეჯიბრება სამ დღეს გაგრძელდა. ასპარეზობის სტარტზე ხალიჩა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს დაეთმოთ. შესანიშნავად იჭიდავა საქართველოს ნაკრების წევრმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა. 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში იგი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ქართველი ფალავანი პაექროებში მეოთხედფინალიდან ჩაება – ჯერ აზერბაიჯანელი იაშარ ალიევი დაამარცხა (7:4), ნახევარფინალში რუსეთის ნაკრების წევრ რუსტამ ამპარს აჯობა (6:5), ხოლო ფინალში კიდევ ერთი აზერბაიჯანელი ახმედნაბ ქვარზატილოვი დაჯაბნა (6:2).



რევაზ მინდორაშვილის შეგირდთაგან მიზანთან ახლოს იყო გიორგი საკანდელიძეც (120 კგ). ჩვენებურმა ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან აზერბაიჯანის ნაკრების კუბელი ლეგიონერი ალექსის როდრიგესი (16:6) და ამერიკელი ტერველ ივაილოვ დლაგნევი (6:4), მაგრამ გადამწყვეტი პაექრობა საკანდელიძემ უკრაინელ ოლექსანდრ ხოციანოვსკისთან წააგო (10:0) და მეორე ადგილს დასჯერდა.

ჰეიდარ ალიევის სახელობის ოქროს გრან პრიზე უკეთ იასპარეზეს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა. ბეგი დარჩინას შეგირდებმა 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. შეჯიბრება წაუგებლად დაამთავრეს რობერტ ქობლიაშვილმა (85) და იაკობ ქაჯაიამ (130 კგ), რევაზ ლაშხა (66 კგ) და ზურაბ დათუნაშვილს (75 კგ) ერთი მოგებაღა დააკლდათ მიზნამდე, ფირუზ წულუკიძე (71 კგ) კი „ბრინჯაოს“ დაყაბულდა.

რობერტ ქობლიაშვილმა ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან ლიტველი ლაიმუტის ადომიტისი (2:1), ირანელი ნური ჰოსეინი (3:1) და უზბეკი რუსტამ ასაკალოვი (2:1), ფინალში აზერბაიჯანის ნაკრების ირანელ ლეგიონერ სამან აჰმან ტაჰმასების აჯობა (3:0) და მთავარი პრიზი დაიმსახურა. მძიმე წონაში იაკობ ქაჯაიამ თურქი ალი ნალ არსლანი (9:0), უკრაინელი ევგენი ორლოვი (3:2) და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ფინალისტი – ესტონელი ჰეიკი ნაბი (2:0) დაჯაბნა და გადამწყვეტ პაექრობაში აზერბაიჯანელ საბაჰ შარიათს დაუპირისპირდა. ეს შერკინება ოქროს გრან პრის დამაგვირგვინებელი შეხვედრა იყო და იგი ქართველმა მძიმეწონოსანმა შთამბეჭდავი გამარჯვებით დააგვირგვინა. თავიდან ჩვენებური დაწინაურდა, მაგრამ მალე ინიციატივა ხელთ იგდო მასპინძელმა და 5:1 გავიდა წინ. შესვენების შემდეგ ქაჯაიამ 4-ქულიანი გდებით წონასწორობა აღადგინა და იქვე სუფთა მოგებით ჩემპიონობაც მოიპოვა.

გამოცდილ ფალავან რევაზ ლაშხს ოქრომდე ერთი მოგება დააკლდა – ფინალი აზერბაიჯანელ ჰასან ალიევთან წააგო (0:4) და მეორე ადგილზე გავიდა. გადამწყვეტ შეხვედრამდე მან რუსეთის ნაკრების წევრი არსლან აბდულოვი (2:1), თანაგუნდელი საჩინო დავითაია (3:2) და სლოვაკი იშტვან ლევაი (3:0) დაამარცხა. მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა ზურაბ დათუნაშვილი. ქართველმა მოჭიდავემ უნგრელი ლასლო საბო (8:0), ხორვატი ნევენ ზუგაჟი (3:0) და თანაგუნდელი ილია გულბათაშვილი (8:0) ისე ჩამოიცილა გზიდან, რომ ქულაც არავისთვის დაუთმია, გადამწყვეტი შეხვედრა კი აზერბაიჯანელ რაფიგ ჰუსეინოვთან 0:1 დათმო და „ვერცხლს“ დასჯერდა. 71 კილოგრამის რეპეშაჟის ფინალში მანუჩარ ცხადაიასა და ფირუზ წულუკიძის შეხვედრა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა (4:1) და ბრინჯაოს მედალიც მას ერგო.

ლექსო ციწაძე

სურათზე: ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ასპარეზობისას.

◎ ძიუდო

სეულში მოემზადებიან

წლეულს 25-31 აგვისტოს ჩელიაბინსკი ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადება საქართველოს ნაკრები, რომელიც მთავარი მწვრთნელის – ირაკლი უზნაძის ხელმძღვანელობით ორკვირიანი საწვრთნელი შეკრებისთვის სამხრეთ კორეაში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: 60 კგ – ამირან პაპინაშვილი, **73 კგ –** ნუგზარ ტატალაშვილი და ლაშა შავდათუაშვილი, **81 კგ –** ავთანდილ ჭრიკიშვილი და უშანგი მარგიანი, **90 კგ –** ვარლამ ლიპარტელიანი და ბექა ღვინიაშვილი, **+100 კგ –** ადამ ოქრუაშვილი და ლევან მატიაშვილი. სეულში ვაჟებთან ერთად ივარჯიშებს ქალთა ნაკრების ნატურალიზებული წევრი ესტერ სტამი. ჩელიაბინსკში ინდივიდუალური პირველობები 25-30, ხოლო გუნდური შეჯიბრება 31 აგვისტოს გაიმართება. ამ პაექრობისთვის საქართველოს ნაკრებს შალვა ქარდავა (66 კგ) და ზებედა რეხვიაშვილი (81 კგ) დაემატებიან. წინასწარი ინფორმაციით, გუნდურ განაცხადში რეხვიაშვილი მარგიანს შეცვლის. ქართველი ძიუდოისტები თბილისში 9 აგვისტოს დაბრუნდებიან და დასკვნით შეკრებას ბორჯომში ან ყვარელში გაივლიან.

გივი გაგუა

◎ ლეგიონერი

ცინცაძე მაკედონიის ჩემპიონში ითამაშებს

საძართველოს საკალათბურთო ნაკრების 28 წლის მცველი გიორგი ცინცაძე მაკედონიის უძლიერესი კლუბის – „მზტ სკოპიე აეროდრომის“ წევრი გახდა, სადაც მისი მწვრთნელი ცნობილი სლოვენიელი სპეციალისტი ზმაგო საგადინი იქნება.

ცნობისთვის, ბოლო წლებია, სკოპიელებს შიდა ასპარეზზე ღირსეული კონკურენტი არ ჰყავთ. დედაქალაქელები უკანასკნელი 3 წელია დუბლს ასრულებენ ანუ მაკედონიის ჩემპიონატსაც იგებენ და თასის გათამაშებასაც.

ცინცაძესთან ერთად „სკოპიემ“ სლოვენიელი ცენტრი მარკო პაჯიჩიც გადაიბირა, გუნდში ასევე არიან სერბი უკანახაზელი ალექსანდრ ცვეტკოვიჩი და მაკედონიის ნაკრების მოთამაშეები – გიორგი ჩეკოვსკი, ტოდორ გეჩევსკი და დამიან სტოიანოვსკი.

ისიც ვთქვათ, რომ მომავალ სეზონში „მზტ სკოპიე“ შიდა ასპარეზის გარდა ძალებს ადრიატიკის ლიგაშიც მოსინჯავს, სადაც მეტოქეებად სერბული, ხორვატული, ჩერნოგორიული, სლოვენიური, უნგრული და ბულგარული კლუბები ეყოლება.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა კალათბურთელმა გასული სეზონი უკრაინულ „დონეცკში“ დაიწყო და 16 მატჩში მისი საშუალო მონაგარი 5 ქულა, 1 მოხსნა და 3 პასი იყო. გიორგი დონეცკელებს უკრაინის თასის ფინალში გასვლაშიც დაეხმარა.

სეზონის მე-2 ნაწილში ცინცაძემ უკვე ლიბანურ „ჩემპვილს“ მიაშურა და 14 თამაშის ჩატარება მოასწრო, საშუალოდ კი 15 ქულას, 4 მოხსნას და 6 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

ამჟამად გიორგი საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ერთად შეკრებაზე იმყოფება და 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ემზადება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ქირურგიული ჩარევის წინ

„დინამოში“ ბევრი რამ ფიფიას და ბილეკის შეხვედრის შემდეგ გაირკვევა

თბილისის „დინამოში“ რომ კარდინალური ცვლილებები იგეგმება, ამის შესახებ ხმები შაბათს გავრცელდა.

წინასწარი ინფორმაციით, ძირეულ ცვლილებებზე კომენტარი ორშაბათს გაკეთდებოდა, თუმცა, გუშინ ცნობილი გახდა, რომ ამ ვადამ, სავარაუდოდ, ერთი დღით გადაიწია. საქმე ისაა, რომ კლუბის პრეზიდენტი რომან ფიფია საქართველოში არ იმყოფება და ბევრი რამ მისი ჩამოსვლის შემდეგ გაირკვევა.

გასაგებია, რომ ჩემპიონთა ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე ყაზახეთის „აქტობესთან“ შინ და გარეთ მარცხის შემდეგ „დინამოში“ ცვლილებები მოხდებოდა, თუმცა ამას, ბუნებრივია, მხოლოდ ცხელ გულზე ვერ გააკეთებ, რადგან გუნდის მთავარ მწვრთნელ ჩეხ მიხალ ბილეკს და ფეხბურთელებსაც „დინამოსთან“ კონტრაქტები აკავშირებთ. შესაბამისად, ერთი ხელის მოსმით რაიმეს შეცვლა ადვილი არაა.

აქედან გამომდინარე, ბევრი რამ მას შემდეგ გაირკვევა, რაც ფიფია თბილისში დაბრუნდება და ბილეკს შეხვდება. შესაბამისად, „დინამოც“ განცხადებას ამის შემდეგ გააკეთებს.

გიორგი ფოთაძე

◎ ევროპის ლიგა

„ნეფთჩი“ – „ჩიხურას“ ყველაზე ტიტულოვანი აზერბაიჯანული მეტოქე

უეფას ევროპის ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე საჩხერის „ჩიხურა“ აზერბაიჯანის ყველაზე ტიტულოვან საფეხბურთო კლუბ ბაქოს „ნეფთჩის“ დაუპირისპირდება.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის პერიოდში „ნეფთჩი“ ევროთასებზე ქართულ კლუბს ერთხელ უკვე შეხვდა. 2012 წელს, ჩემპიონთა ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე, ბაქოელებმა „ზესტაფონს“ შინ 3:0 აჯობეს, ხოლო ზესტაფონში 2:2 ითამაშეს და მე-3 საკვალიფიკაციო რაუნდში გავიდნენ. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოსახვედრად აზერბაიჯანელებმა ისრაელის „ჰაპოელის“ ბარიერი ვერ გადალახეს (2:2, 0:4).

ქოელებმა ბათუმის „დინამოს“ აჯობეს, მაგრამ 1/16-ფინალში თბილისის „დინამოსთან“ წააგეს.

1946-1948 წლებში „ნეფტიანიკი“ საბჭოთა კავშირის პირველ ლიგაში გამოდიოდა, ხოლო უმაღლეს ლიგაში დებიუტი 1949 წელს ჰქონდა. 1950 წელს გუნდმა ჩემპიონატში ბოლო მე-19 ადგილი დაიკავა და უმაღლესი ლიგიდან გავარდა. 1951-1959 წლებში ბაქოელები პირველ ლიგაში ასპარეზობდნენ, ხოლო 1960-1972 წლებში ისევ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდნენ. 1966 წელს ჯერ კიდევ „ნეფტიანიკად“ წოდებულმა კლუბმა საბჭოთა კავშირის პირველობაზე მე-3 ადგილი დაიკავა, რაც საბჭოეთის დაშლამდე მის ყველაზე დიდ მიღწევად ითვლებოდა. 1973-1976 წლებში „ნეფთჩი“ კვლავ პირველ ლიგაში ასპარეზობდა, 1977-1988 წლებში კი – უმაღლესში. ბოლოს, 1989-1991 წლებში, ისევ პირველ ლიგაში გამოდიოდა.

სამაგიეროდ, „ნეფთჩი“ პირველი აზერბაიჯანული კლუბი აღმოჩნდა, რომელმაც ევროპის ლიგის ჯგუფში ითამაშა. მანამდე ის „შამქირის“ მერე მეორე აზერბაიჯანული კლუბი გახდა, რომელიც ევროთასების მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვდა. 2004 წელს ბაქოელებმა ბოსნიური „შიროკი ბრიეგის“ ბარიერი გაიარეს, ხოლო 2005-ში – ისლანდიის „ჰაფნარფიორდურის“.

2012 წელს ევროპის ლიგის პლეი ოფში ბაქოელებმა კვიპროსის აპოელ-ს ორი მატჩის ჯამში სძლიეს – 1:1, 3:1. ჯგუფში მისი მეტოქეები ყაზანის „რუბინი“, ბელგრადის „პარტიზანი“ და მილანის „ინტერი“ იყვნენ. „ნეფთჩიმ“ „რუბინთან“ ორივე თამაში წააგო (0:1, 0:1). „ინტერთან“ 1:3 დამარცხდა, მაგრამ სტუმრად სენსაციური ფრე (2:2) გამოაცხო და ასევე ორჯერ „პარტიზანს“ დაუზავდა (1:1, 0:0).

„ნეფთჩი“ 1937 წლის 18 მარტს დაარსებულ და 1968 წლამდე „ნეფტიანიკად“ იწოდებოდა. გუნდმა პირველი ოფიციალური თამაში იმავე წელს საბჭოთა კავშირის თასზე ჩაატარა და სტუმრად ერევნის „დინამო“ 1:0 დაამარცხა. 1/32-ფინალში ბაქოელებმა ბათუმის „დინამოს“ აჯობეს, მაგრამ 1/16-ფინალში თბილისის „დინამოსთან“ წააგეს.

1973-1976 წლებში „ნეფთჩი“ კვლავ პირველ ლიგაში ასპარეზობდა, 1977-1988 წლებში კი – უმაღლესში. ბოლოს, 1989-1991 წლებში, ისევ პირველ ლიგაში გამოდიოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბაქოელებმა აზერბაიჯანის ჩემპიონატი 9-ჯერ მოიგეს, ხოლო 6-ჯერ ქვეყნის თასს დაეუფლნენ. 2006 წელს მათ „თანამეგობრობის თასზე“ გაიმარჯვეს.

„ნეფთჩი“ აზერბაიჯანის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბად ითვლება. მისი გენერალური სპონსორი ნავთობის კომპანია „სოკარია“. გუნდის მთავარი მწვრთნელი ბუიუქაღა გაჯიევია. გუნდი საშინაო მატჩებს „ბაქსელ არენაზე“ ატარებს, რომელიც 11000 გულშემატკივარს იტევს.

31 ივლისს საჩხერის „ჩიხურა“ ევროპალიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს ბაქოში ჩაატარებს, ხოლო 7 აგვისტოს აზერბაიჯანელებს თბილისში მიხეილ მესხის სახელობის არენაზე უმასპინძლებს.

მანუჩარ გიორგაძე

ეპიტაფია

ჯუმბერ ლეჟავა — სამარადისო ხსოვნა

ქართველ ერს კიდევ ერთი სახელოვანი შვილი გამოაკლდა. მოულოდნელად შეწყდა ქვეყნისათვის თავდადებული მამულიშვილისა და სულით ხორცამდე პატრიოტის, ლეგენდარული პოლიტექნიკოსის **ჯუმბერ ლეჟავას** გულისცემა.

წარმოუდგენელია, რომ სიცოცხლის უძლიერესი მეტრი მისთვის დამახასიათებელი ვაჟკაცური ღიმილით არ შემოაბიჯებს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ყოველდღიური ღვაწლით ახალ ფურცელს არ ჩაწერს მის სახელოვან ბიოგრაფიაში.

უდიდესი გულისტკივილით შეიტყო სრულიად საქართველომ განსაცვიფრებელი სიმამაცისათვის დაბადებული ღვიძლი შვილის გარდაცვალება.

წავიდა ჩვენგან ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავა, კაცი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი იყო როგორც გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიო ველოსიპედისტი, მსოფლიო მოქალაქე და სპორტსმენი, გაეროს ბუნების დაცვის ელჩი, მოგზაური დიპლომატი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი, მსოფლიოს 2009 წლის ადამიანი, საქართველოს სპორტის რაინდი და დამსახურებული მუშაკი, მსოფლიოს მრავალი ქალაქის, მათ შორის თბილისისა და რუსთავის საპატიო მოქალაქე, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლების მფლობელი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედალოსანი, მსოფლიოს ბიოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

ჯუმბერ ლეჟავა დაიბადა 1939 წლის 23 ივლისს. 1966 წლიდან, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ნაყოფიერ შრომით საქმიანობას ეწეოდა სხვადასხვა სამეცნიერო–კვლევით და სახელმწიფო ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

მან სრულიად ახალგაზრდამ გადაიტანა ურთულესი ქირურგიული ოპერაციები და მიუხედავად ორჯერ კლინიკური სიკვდილისა, არნახული ნებისყოფა გამოავლინა, დაამტკიცა, რომ ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი არ გააჩნია. ეს ურთულესი გზა მან მკლავებზე აზიდვების ვარჯიშში გინესის 14 რეკორდის დამყარებით დაიწყო და უნიკალური მსოფლიო ველოსიპედისტურობით დააგვირგვინა, რასაც რუსთაველთა და მათი თავკაცის ჟიული შარტავას კაცური თანადგომით მიაღწია.

1993–2002 წლებში ჯუმბერ ლეჟავამ 3333 დღის განმავლობაში ველოსიპედით მარტოდმარტომ იმოგზაურა მსოფლიოს შვიდივე კონტინენტის 239 ქვეყანაში, გაიარა 300 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი, გადალახა სიცოცხლისათვის საშიში მრავალი დაბრკოლება, რითაც გამოავლინა განუმეორებელი ვაჟკაცობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამძლეობა და ღირსეულად დაიმკვიდრდა ადგილი მსოფლიოს ყველა დროის უდიდეს მოგზაურთა შორის.

ჯუმბერ ლეჟავას „მოგზაურობის პიკასო“ – უწოდეს გერმანელებმა, „მოგზაურთა მეფე“ – ფრანგებმა, ხოლო რუსებმა – „ქართველი შვარცენეგერი“ და მრავალი სხვა.

მსოფლიოსათვის ჩვენი ქვეყნის წარსულის, ქართული კულტურისა და ტრადიციების გაცნობასთან ერთად მოგზაურობის პერიოდში მან დაწერა შესანიშნავი დღიურები, შექმნა უნიკალური ფოტო და ვიდეომასალა, გამოსცა ჟურნალი „მოგზაური“, ვარჯიშების მეთოდიკა „ჯანმრთელობის ფორმულა“, მსოფლიო მოგზაურთა რუკები, ილუსტრირებული ზღაპრები ციკლიდან „ჯუბაბაბუს საზღაპრეთი“, გამოსაცემად მოამზადა მოგზაურობის ამსახველი მრავალტომეულის პირველი წიგნები.

სიცოცხლის ბოლო წუთამდე იგი ეწეოდა აქტიურ საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობას, სისტემატურად აწყობდა შეხვედრებს სასწავლო დაწესებულებებში, პირადი მაგალითით ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდა ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების საქმეში.

23 ივლისს დაუშრეტელი ენერგიითა და მხნეობით აღვსილმა ჯუმბერ ლეჟავამ უკანასკნელად აღნიშნა დაბადებიდან 75 წლის იუბილე მეგობართა ვიწრო წრეში; ისაუბრა მომავალი გეგმების შესახებ და დაგვპირდა, რომ იგი კიდევ ერთჯერ დალაშქრავდა ანტარქტიდას, საქართველოს დროშით მოივლიდა ევროკავშირისა და ნატოს ქვეყნებს, 2016 წელს კი, ველოსიპედით ჩავიდოდა რიო-დე ჟანეიროში თავის მეექვსე ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე. ორი დღის შემდეგ 25 ივლისს კი მოულოდნელად აღესრულა, ამაღლდა ზეცად სამარადისო სასუფეველში და შეუერთდა ღირსეულ მამულიშვილებს.

გემშვიდობებით ჩვენო ძვირფასო ძმაო და მეგობარო, ბატონო ჯუმბერ! შენს მიერ განვლილი გზა, შეუპოვრობა, გმირობის ტოლფასი ღვაწლი სამშობლოსა და ერის წინაშე, თვალსაჩინო ადგილს დაიმკვიდრებს საქართველოს უახლეს ისტორიაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უკვდავი სული!

ჯუმბერ ლეჟავას მრავალრიცხოვან
მეგობართა და ახლობელთა სახელით,

არჩილ ფრანგიშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორი, აკადემიკოსი

სანთელი

თალიკო გელოვანის გარდაცვალების გამო

90 წლის შემდეგ მზის ქვეშეთიდან საუკუნო სასუფეველში გადავიდა ჩემთვის უძვირფასესი, ულამაზესი და უწმინდესი ადამიანი, ჩემი მასწავლებელი და მეგობარი **თალიკო გელოვანი**.

თალიკო გელოვანი ქიმიის საგანს გვასწავლიდა 1950-1953 წლებში, ლენტეხის რაიონის ჯახუნდრის საშუალო სკოლაში. აღნიშნულ საგანში მე არ ვიყავი წარმატებული მოსწავლე, მაგრამ თალიკო გელოვანისათვის უპირველესი მოსწავლე ვიყავი მაინც, რადგან, მისი მეუღლის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელის, უმშვენიერესი და ცოცხალი ავთანდილის, ჯუჯულო გელოვანის №1 მოსწავლე გახლდით.

მახსოვს, ერთხელ, ჯუჯულო მასწავლებელმა მოგვამზადებინა ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოების „მამის მკვლელის“ სასამართლო პროცესი. მე ყველაზე რთული თემა – უარყოფითი გმირის გირგოლას დაცვა დამევალა. პროცესი სკოლის სააქტო დარბაზში შედგა, სადაც არა მარტო მოსწავლეები და მასწავლებლები, არამედ სოფლის ბევრი სხვა წარმოადგენელიც ესწრებოდა. დაცვა წარმატებით მიმდინარეობდა. როცა სასამართლო პროცესი დამთავრდა, სცენაზე პირველი თალიკო მასწავლებელი ამოვარდა აცრემლებული, მკოცნიდა და მისი ცრემლები, მახსოვს სახეს მისველებდა. როცა ამ სამგლოვიარო მოსაგონარს ვწერ, ლოყები კვლავ სველი მაქვს. არ ვიცი, ეს თალიკო გელოვანის ცრემლების სისველე გამომყვა, თუ მისი ხსოვნის ალალი და კუთვნილი ცრემლებია.

წავიდა ჩვენგან, ჩემს მასწავლებელთაგან ბოლო მასწავლებელი და კვლავ ჯუჯულო გელოვანის მიერ მომხიბვლელად წაკითხული უკვდავი ლექსის სტრიქონები მახსენდება:

„წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის, აქ ჟრიამული.“

მშვიდობით, ჩემო ლამაზო თალიკო მასწავლებელო.

გრიშა ონიანი,
ურეკი.
27 ივლისი, 2014.

აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დევნილი ქართველი პოეტი, გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი

ამირან მიქაუტაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 29 VII, 14 სთ. მისამართი: გლდანის მე-3 მ/რ, მე-5 კორპუსი, მაღლივი შენობის მე-8 სართული.

ინფორმაცია

2014 წლის 18 სექტემბერს 15 საათზე, ყაზბეგის მუნიციპალიიტეტის, დაბა ყაზბეგის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 125-ე კმ-ზე მდ. ჩხერეზე ახალი სახიდე გადასასლელის მშენებლობის პროექტის გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე:** www.georad.ge
- **დაბა ყაზბეგის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);**

გთხოვთ წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირს: ლუიზა ბუბაშვილს, ტელ: 595219141.

likabubashvili@yahoo.com.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 568 82-09-84..

კრიმინალი

ბათუმის მერის მექრთამე რწმუნებული

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე, ქალაქ ბათუმის მერის რწმუნებული ოლეგ არველაძე დააკავეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ ოლეგ არველაძემ ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქუჩაზე განთავსებული 3142.4 კვ.მ შენობა-ნაგებობის და მასზე მიმაგრებული 6582 კვ.მ არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასურველ ფასში პრივატიზებაში დახმარების გაწევის სანაცვლოდ, ქრთამის სახით აიღო ფულადი თანხა 4 000 აშშ დოლარის ოდენობით.

დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9 წლამდე ვადით.

შემოჰქონდათ არადეკლარირებული ძვირფასეულობა

„სადახლო-საავტომობილოს“ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 25 ივლისს, საბაჟო გამშვები პუნქტის „სადახლო-საავტომობილოს“ ტერიტორიაზე სომხეთის მოქალაქე ე.ა.-მ ერთ კილოგრამამდე არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები და 110 კოლოფი სიგარეტი შემოიტანა. საქონელი აღმოჩნდა ავტობუსში.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, არადეკლარირებული საქონლის საერთო ღირებულებამ 36819,62 ლარი შეადგინა.

სადგურის უფროსი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად კომერციული მოსყიდვის ფაქტზე სს „საქართველოს რკინიგზის“ ბროწეულას სადგურის უფროსი ამირან მურუსიძე დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ სს „საქართველოს რკინიგზის“ ბროწეულას სადგურის უფროსმა ამირან მურუსიძემ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელებისას მოქალაქეს მისივე ინტერესებისათვის 2000 აშშ დოლარი მოსთხოვა, რის სანაცვლოდაც, მისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით, სადგურის ჩიხში შემავალი ლიანდაგით სარგებლობას და საწყობამდე ვაგონის მიყვანას დაჰპირდა. სამართალდამცველებმა ამირან მურუსიძე მოთხოვნილი თანხის ნაწილის - 1000 აშშ დოლარის აღების ფაქტზე დააკავეს.

ლატვიის კურორტ იურმალაში, ტრადიციულ კონკურსზე „ახალი ტალღა — 2014“, 17 წლის ნუცა ბუზალაძემ საქართველო ასახელა!

27 ივლისს იურმალაში „ახალი ტალღა 2014“-ის დასკვნითი კონცერტი და კონკურსანტების დაჯილდოება გაიმართა. მაყურებელთა სიმპათია სომეხი კონკურსანტი სონია რუბენიანი გახდა. ალა პუგაჩოვამ სპეციალური პრიზი - „ალას ვარსკვლავი“, რომლის ღირებულება 20 000 ევროა, ლატვიელ სტას შურინს და ლიტველ მონიკა ლინკიტის გადასცა.

მუზ-რგ-ს ჯილდო ლეონიდ აგუტინმა რუსეთის სახელით გამოსულ კონკურსანტ ნოდარ რევიას გადასცა. მესამე ადგილზე უკრაინელი ვიაჩესლავ რიბიკოვი გავიდა, რომელმაც 20 000 ევრო მიიღო, მეორეზე ასევე უკრაინელი ვიქტორია პეტრიკი — მას 30 000 ევრო ერგო. გამარჯვებულ ქართველ კონკურსანტს, ნუცა ბუზალაძეს პრიზად 50 000 ევრო გადასცეს. ნუცამ მადლობა ინგლისურ ენაზე გადაუხადა ჟიურის წევრებს, პროდიუსერებს, „ახალი ტალღის“ შემოქმედებით ჯგუფს, შემდეგ კი სცენაზე კიდევ ერთხელ გამოვიდა და მაია კაჭკაჭიშვილის სიმღერა In My Dreams შეასრულა.

ვულოცავთ აღიარებას კიდევ ერთ ქართველ მომღერალს!

„ახალი ტალღის“ დასკვნით კონცერტზე

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

◎ ამინდი

სიგრილეს კვლავ ხვატი შეცვლის

2-3 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში 38 გრადუსი სიცხეა მოსალოდნელი.

30-31 ივლისს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, საღამოსა და ღამის საათებში ასევე მოსალოდნელია წვიმა ელჭექით. 31 ივლისს წვიმაა მოსალოდნელი აღმოსავლეთ საქართველოშიც, მათ შორის თბილისში, თუმცა, ჰაერის ტემპერატურა 31 გრადუსი იქნება. ამასთან, ხვალ თბილისში 32 გრადუსია ნავარაუდევი.

ნიორაძის განმარტებით, 1-დან 5 აგვისტომდე საქართველოში კვლავ მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდება. კერძოდ, დასავლეთ საქართველოში 2-3 აგვისტოს 38 გრადუსია მოსალოდნელი, აღმოსავლეთ საქართველოში — 36 გრადუსი. 5-6 აგვისტოს კი დასავლეთ საქართველოში იწვიმებს, 7 აგვისტოს შემდეგ კი კვლავ გამოიდარებს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ცოლ-ქმარი ჩხუბობს. ერთმანეთს რომ გადაუარეს, მერე ნათესავებზე გადავიდნენ.

— აი, მამაშენი...

— რა გინდა მამაჩემთან, რა გაგიკეთა მამაჩემმა? — აწყვეტინებს ქმარი.

— რა გამიკეთა და, შენი თავი.

* * *

მოხვდა ტიპი სამოთხეში. კაიფობს. ყველაფერი გადასარევია: ხალხი, კვება, ქალებიც კი.

— შეიძლება, რომ ცალი თვალით მაინც შევიჭყიტო ჯოჯოხეთში? — ეკითხება იგი მთავარანგელოზს.

მისცეს ამისი უფლება. იქაც ყველაფერი ისეა, როგორც სამოთხეში, ლანდშაფტის ჩათვლით, მაგრამ ხალხი რატომღაც ტირის და იტანჯება.

— რატომ არიან ისინი ასეთი უბედურები? — უკვირს ტიპს.

— ისინი უბრალოდ, ფიქრობენ, რომ სამოთხეში უკეთესია...

* * *

სკოლაში გამოსაშვებ საღამოზე იჩხუბეს ფიზკულტურის და შრომის მასწავლებლებმა. გაიმარჯვა შრომის მასწავლებელმა, რადგან კარატე კი არის კარატე, მაგრამ ჩაქუჩი მაინც ჩაქუჩია.

* * *

— **ეძიმო**, მე ყველას ისე, არაფრისთვის ვჩუქნი ხოლმე ფულს. აი, თქვენც მინდა, რომ გაჩუქოთ ორი შეკვრა! — ეუბნება ტიპი ფსიქიატრს.

— როგორც იქნა, ერთი ნორმალური მაინც გამოჩნდა!

* * *

— **რა** არის ეკონომიკის ზრდა?

— ეს არის ის, რომ მიხო, რომელიც ამ ოცი წლის წინთ 5 ათას დოლარიან ბინაში ცხოვრობდა, ახლა 20-ათასიან ბინაში ცხოვრობს, თანაც ისე, რომ იგი თავისი „ხრუშჩოვკიდან“ არსად არ გადასულა.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36 00 35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24